ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლიტერატურული საქართველო

ლიტერატურული საქართველო ⋆ LITERATURULI SAQARTVELO ⋆ ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

8 ივლისი 2022წ. №17 (4052) გამოცემის 91-ე წელი ფასი 1 ლარი


**Слава Україні! Героям слава!**



## პრაღიდან კიევამდე

*მომღერალი, კომპოზიტორი, ჯგუფ „დროის მანქანის" ლიდერი* ***ანდრეი მაკარევიჩი*** *უკრაინის ომის დაწყებისთანავე რუსეთიდან წავიდა და ამჟამად ისრაელში ცხოვრობს.*

*ბოლო ხანებში მაკარევიჩს ანტიპუტინისტური პოზიცია ეკავა, რისთვისაც მას აკრიტიკებდნენ რუსი პოლიტიკოსები და კოლეგები. აკრძალეს მისი კონცერტები, ოფიციოზმა კი მამხილებელ-პროპაგანდისტული კამპანიის ქარიშხალი დაატეხა თავს.*

*თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში მაკარევიჩი აცხადებს, რომ მას არ სურს გაიფუჭოს ცხოვრება რუსეთიდან მოსული ახალი ამბების კითხვით და ცდილობს, შეაცვლევინოს აზრი იმათ, ვინც უკრაინის წინააღმდეგ ომის მომხრეა. „ვინც წერს ასო Z-ს, წავიდეს ის უკანალში", – ამბობს მომღერალი.*

*– მე ჯერ კიდევ მჯერა და მწამს, რომ ადამიანში არსებობს გონიერების საწყისი. საერთოდ, ბუნება მიდრეკილია ჰარმონიისაკენ, თანასწორობისაკენ. როცა ეს ირღვევა, სიტყვები აღარ მყოფნის, ახსნას ვერ ვუძებნი. არ მინდა, ამას ჩავუღრმავდე.*

**– რას გრძნობთ, როდესაც გესმით ამბები ომის შესახებ?**

– ომის პირველი დღიდან დღემდე ყველაფერი ამაზრზენია. მეტს ვერაფერს ვიტყვი.

**– რუსეთის ამბებს როდის ეცნობით?**

ხომ გითხარით, რუსეთის ამბებს არ ვკითხულობ-მეთქი. არანაირი სურვილი არ მაქვს, შევეხო ტყუილის იმ ნიაღვარს, რომელიც იქიდან მოედინება...

ამას წინათ ფეისბუქში კომენტარი წავშალე, რადგან არ მინდა, ბოტები ვკვებო. სამყარო ძალიან პოლარიზებულია. ამიტომ მაინტერესებს ის, ვინც მხარს მიჭერს ან მეთანხმება. ვინც არ მეთანხმება, ის ნაკლებად მაინტერესებს. იმასთან დისკუსიაში არ შევალ.

**– კი ამბობთ, არ მაინტერესებს იმათი აზრი, ვინც არ მეთანხმებაო, მაგრამ ამას წინათ თქვენ თვითონ ჰყვებოდით, ომის დაწყების შემდეგ როგორ გაწყვიტეთ ურთიერთობა ბავშვობის მეგობართან...**

– თუმცა ის არის ერთადერთი ჩემს უამრავ მეგობარსა და ნაცნობებს შორის.

**– ასეთი საზოგადოებრივი პოლარიზაციის დროს როგორ შეიძლება ამის თავიდან არიდება, უფრო სწორად, როგორ უნდა აირჩიო სიმართლე?**

– როცა არ იყო საომარი მოქმედებები, როცა არ იხოცებოდა ხალხი, მიმაჩნდა, რომ სრულიად შესაძლებელია, ერთ საგანზე მრავალი განსხვავებული აზრი არსებობდეს. მაგრამ ახლა, როდესაც ყველაფერი უცებ ომში გადაიზარდა და ვიღაც ყვირის: „აი, ასე უნდა მაგათ!" – ამ ადამიანს უბრალოდ ვშლი.

**– თქვენს საზღვარგარეთულ პრაქტიკაში ხომ არ გქონიათ შემთხვევა, რომ ვინმეს რუსული კულტურის უარყოფაზე ემუშაოს?**

– არ მქონია ასეთი შემთხვევა. ვერ ვიტყვი, რომ მსოფლიოში ბევრს ვმოგზაურობ, მაგრამ კონცერტებზე მაინც მიწვევენ: ახლა კვიპროსზე მივდივარ. საქართველოდანაც მიწვევენ. რუსული კულტურის უარყოფა რომ უნდოდეთ, ალბათ არ დამიძახებდნენ.

**– როცა რუსული კულტურის შესახებ ვსაუბრობთ, ხომ არ გახსენდებათ მსგავსი პერიოდი საბჭოთა კავშირის ბოლოდროინდელი ისტორიიდან?**

– ასეთი მასშტაბური არ ყოფილა. თუმცა, როდესაც საბჭოთა ტანკები პრალაში შევიდნენ, მაშინ იყო მსგავსი სიტუაცია. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, არ შემეძლო, მოვლენები ყოველმხრივ შემეფასებინა. მაგრამ მსგავსება დიდი იყო. დღეს გაცილებით უარესი ხდება. უბედურებათა მასშტაბების მიხედვით, რა თქმა უნდა, უკრაინის ამბები გაცილებით მძიმეა.

## არტურ ლაისტი – 170



## პირველი არის ის

არტურ ლაისტი – ჟურნალისტი, ენათმეცნიერი, მთარგმნელი, პროზაიკოსი... მოკლედ, ქართველოლოგი, რომელიც ევროპიდან გადმოსახლდა საქართველოში და მას აქ დახვდა ევროპეისტული ოაზისი საგურამოში, ოლღა გურამიშვილის სამზითვო მამულში, ილია ჭავჭავაძის სახლ-კარში, რომელსაც მან „მწვანე სამოთხე" უწოდა და სამუდამოდ შეერწყა და შეეთვისა თავის სამოთხეს, საქართველოს, და დაიმკვიდრა სამარადისო ადგილი დიდუბის პანთეონში.

„ბატონი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასიხარულოდ კისრად იდო შუაკაცობა ჩვენსა და ევროპას შორის, რომელმაც იტვირთა ჩვენს გულში ამონაწონი სიტყვა, ჩვენი ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ღონე აცნობოს იმ ხალხთ, რომელნიც ქვეყნის წარმატების გზაზე მეთაურნი და მესვეურნი არიან... იმედია, რომ ამ სიყვარულით ჩაგონებული პირუთვნელი სიტყვა ბ-ნ ლაისტისა მოჰფენს მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავსა, რომ შორს, სადღაც, არის ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის" (ილია ჭავჭავაძე).

არტურ ლაისტი დაიბადა 1852 წლის 8 ივლისს ვროცლავში, სილეზიელი გერმანელი პედაგოგისა და პუბლიცისტის ოჯახში. როგორც პოლონური ენის მცოდნე, ვარშავაში მუშაობდა გერმანული გაზეთების კორესპონდენტად. სწავლობდა ბრესლაუს უნივერსიტეტში. 1881 წელს გაიცნო ფრიდრიხ ფონ ბოდენშტედტი, რომლის რჩევით დაინტერესდა საქართველოთი, საერთოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებით. დაიწყო ქართული ენის შესწავლა. დაუკავშირდა ნიკო ნიკოლაძეს, დავით ერისთავს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იონა მეუნარგიას. პოლონურ პრესაში დაიწყო წერილების გამოქვეყნება ქართულ თემებზე.

1884 წელს ილია ჭავჭავაძის მოწვევით ერთი თვით ჩამოვიდა საქართველოში და გერმანიაში დაბრუნებისთანავე პოლონურ ენაზე გამოაქვეყნა წიგნი „საქართველო, ბუნება, ადათ-წერები და მოსახლეობა". 1885 წელს კვლავ ესტუმრა საქართველოს და შეუდგა „ვეფხისტყაოსნის" თარგმნას.

1892 წლიდან სამუდამოდ მკვიდრდება ჩვენს ქვეყანაში და იწყებს აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. 1904 წელს გამოაქვეყნა შრომა „ქართველი ხალხი". 1906 წელს დააარსა გერმანული გაზეთი „კაუკაზიშე პოსტ", რომელსაც წლინახევრის განმავლობაში რედაქტორობდა.

არტურ ლაისტის კალამს ეკუთვნის ავტობიოგრაფიული წიგნი „რუდოლფ ბოლტის სამოგზაურო ცხოვრება", „მოგზაურობის დღიური", თხზულებათა ორტომეული „საქართველოს გული" და სხვ.

გარდაიცვალა 1927 წლის 22 მარტს.

ტიციან ტაბიძე არტურ ლაისტის საიუბილეო, 1922 წელს, წერდა: „საქართველოს არ ახსოვს, რომ თავისი კულტურის ფრონტზე ენახოს უცხოელი, თუ ის არ იქნებოდა მისი მეზობელი, რომელიც ასიმილაციით ქართველი იყო კიდეც, როგორც მხარგრძელები და უფრო უახლოესი, თუნდაც საიათნოვა... პირველი, ვინაც გერმანული სისტემით და იშვიათი გამძლეობით სიბერემდე მიიტანა საქართველოს მწერლობისა და ისტორიის სიყვარული, ეს არის მხოლოდ არტურ ლაისტი".


ის იყო სარანგი საქართველოსი!



თამაზ ნივნივაძე

გვ.3-5

მარინისტული ამბებიდან



გრიგოლ შონია

გვ. 6-7

ახალი ლექსები



ცირა შალაშვილი

გვ. 8

პირველად ჩვენს გაზეთში



სპარტაკ ბელაღიძე

გვ.9

ღვთაებრივი ბელა



ემზარ კვიტაიშვილის წერილი

გვ. 11-12



# მასწავლებლობა როგორც შემოქმედება

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა საზოგადოებამ სპეციალურად მოწყობილ ღონისძიებაზე ლიტერატურულ- შემოქმედებით კონკურსში გამარჯვებულ პედაგოგებს უმასპინძლა. კონკურსი, როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს განათლების სამინისტროს ეგიდით ჩატარდა და მიზნად ისახავდა შემოქმედებითი პედაგოგების გამოვლენას, მათი მწერლური ნიჭიერების წარმოჩენას. კონკურსს სახელად ასეც ერქვა: „შემოქმედი მასწავლებელი". იდეის ორგანიზატორები პედაგოგთა კავშირის გამგეობის წევრები იყვნენ კავშირის თავმჯდომარის აკადემიკოს გარი ჩაფიძის თაოსნობით.

ინფორმაცია ყველა რეგიონს მიეწოდა, შედეგიც გასაკვირი აღმოჩნდა. მასში მონაწილეობდა საქართველოს ყველა კუთხის პედაგოგი. საკონკურსო ჟიურის მიერ მოწონებული ნაწერები წიგნად გამოიცა. 45-მა ავტორმა თავიანთი პოეტური და პროზაული ნაწერებით ერთ წიგნში მოიყარა თავი.

25 ივნისს სწორედ ამ წიგნის პრეზენტაცია შედგა რუსთავში, აკადემიური ქალაქის სააქტო დარბაზში. ღონისძიებას თითქმის ყველა ავტორი ესწრებოდა: ბათუმიდან, ქუთაისიდან, ქობულეთიდან, კახეთიდან, თბილისიდან, ხაშურიდან, გორიდან, გარდაბნიდან და ა.შ. პრეზენტაციის სტუმრები იყვნენ ქვემო ქართლის გუბერნიის ვიცე გუბერნატორი კახა კობერიძე და წამყვანი სპეციალისტი სოსო პირველი, ცნობილი ბიზნესმენი თამაზ გველუკაშვილი, რუსთავის მე-4 საჯარო სკოლის დირექტორი მამუკა ხამხაძე, მე-5 საჯარო სკოლის დირექტორი, ქალაქის საკრებულოს დეპუტატი თამარ გოგუაძე, ქვემო ქართლის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე მარინე ცხვედიაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი თინათინ სიყმაშვილი.

შესავალი სიტყვით გამოსვლისას პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, გარი ჩაფიძემ აღნიშნა: „ასეთი მასშტაბური ღონისძიება ჩვენს საზოგადოებაში არასოდეს გამართულა. ქართული მხატვრული მწერლობის სიყვარულმა ჩვენს შეხვედრაზე თავი მოუყარა უამრავ, ერთმანეთისთვის უცნობ პედაგოგს. თქვენი შესანიშნავი ნაწერები წიგნად აიკინძა და ეს გამოცემა თქვენივე სკოლების ბიბლიოთეკებში დაიდებს ბინას. მადლობას გიხდით ყველას კონკურსში მონაწილეობისათვის. ასეთი ღონისძიება ტრადიციად იქცევა".

სტუმრებს მიესალმა და წარმატებები უსურვა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ, ლეილა გეგეშიძემ. სიტყვით გამოვიდნენ სტუმრები გურჯაანიდან – მაია ელიკაშვილი, ქობულეთიდან მარინა შავიშვილი, გარდაბნიდან – ნანა სამხარაძე, ბორჯომიდან – მარიზა ჯიქია, ბელა ჯიკაევი და სხვები.

წვეულ სტუმრებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ახლადგამოცემული კრებული და გამარჯვებულების სიგელები.

დასასრულ იმის თქმაც შეიძლება, რომ კიდევ უფრო კარგად გამჟღავნდა პედაგოგების განწყობა. ისინი ერთმანეთს გაეცვნენ, დაახლოვდნენ, გაუზიარეს შთაბეჭდილებები, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები, გაცვალეს მისამართები და დაგეგმეს ახალი შეხვედრები.

კონკურსი „შემოქმედი მასწავლებელი" გაისადაც ჩატარდება.

**ლია მარტაშვილი**

# მოგონებათა ოკეანიდან

## ჩემი მასწავლებელი შუქია აფრიდონიძე (1940-2022)



მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების შუა ხანებში, როდესაც ქართული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად საქართველოში ჩამოვედი, მეცნიერებათა აკადემიაში მაცნობეს, რომ ჩემი ქართულის მასწავლებელი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი შუქია აფრიდონიძე იქნებოდა. როგორც მითხრეს, ამ პედაგოგს უცხოელი მოქალაქეებისათვის ქართულის სწავლების შესანიშნავი გამოცდილება ჰქონდა. ასე რომ, მომდევნო დღეს დათქმულ დროს ჭავჭავაძის პროსპექტზე უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მესამე სართულზე ავედი და შევხვდი შუქიას.

საქართველოში ჩამოსვლამდე ქართულის სწავლა ერთი თხელტანიანი რუსულ-ქართული სახელმძღვანელოთი ვცადე, მაგრამ დიდი შედეგების გარეშე. შუქიასთან ქართულის შესწავლისადმი მიდგომა ძირ-ფესვიანად შეიცვალა და, შესაბამისად, სწავლა-ათვისებაც. მაშინვე ცხადი იყო, რომ მას კარგად ესმოდა, რა სირთულეებს აწყდებოდა უცხოელი, ამიტომაც თავდაპირველად შევისწავლეთ მხოლოდ ზმნები „ყოფნა" და „ქონა-ყოლა", ყველა დანარჩენი გადავდეთ. „ყოფნისა" და „ქონა-ყოლის" ულლების შემდეგ მრავალი არსებითი და ზედსართავი სახელი დავისწავლე, რომელთა საშუალებითაც დავიწყეთ ქართულად ლაპარაკი ბრუნვათა სწორ სისტემებში მათი გამოყენებით.

დღეგამოშვებით ვხვდებოდით რამდენიმე საათით, მაგრამ სახლში ბევრი დავალება უნდა შემესრულებინა: გამეკეთებინა მოცემული სავარჯიშოები, ზეპირად მესწავლა არა მხოლოდ ის ლექსიკა, რომელიც გავიარეთ, არამედ თითქმის ყველა გაკვეთილზე გალაკტიონ ტაბიძის ან ანა კალანდაძის ლექსი. შუქია საკმაოდ მომთხოვნი იყო და ერთხელ, როდესაც გაკვეთილზე ისე მივედი, რომ ლექსი არ ვიცოდი, ძლიერ დამტუქსა. პატარა ბიჭი აღარ ვიყავი და პირველად გულზე მომხვდა მისი მკაცრი მოპყრობა, მაგრამ შემდგომ, როდესაც დავფიქრდი, მივხვდი, რომ ამას ჩემს სასიკეთოდ აკეთებდა: ქართული ენის შესწავლა მეთოდურობასა და განუხრელობას მოითხოვდა.

თუმცა მოსწავლე-მასწავლებლის ეს ურთიერთობა მხოლოდ ჩემი პირველი ჩამოსვლისას გაგრძელდა, შემდეგ თბილისში სხვა დროს ბევრჯერ დავბრუნდი და შუქია ჩემთვის სწავლებას იწყებდა იქ, სადაც წინა ჯერზე შეჩერებულიყო, შესაძლოა, ერთი ან ორი წლით ადრე. მაგრამ ამჯერად უკვე დავმეგობრდით, ეს იყო მეგობრობა, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ღრმავდა და მთელი ცხოვრება გაგრძელდა. მახსოვს, როდესაც გასული წლის ბოლოს საახალწლო მილოცვა გავუგზავნე, მადლობის შემდეგ მომწერა: „ძალიან მომენატრე! როდის ვნახავთ ერთმანეთს?" სამწუხაროდ, ერთმანეთი აღარ გვინახავს.

ცნობილია, რომ შუქია ბრწყინვალე ენათმეცნიერი იყო, 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მე ყოველთვის განსაკუთრებით ვაფასებდი მის გამორჩეულ პედაგოგიურ ნიჭს: მარტივად ახერხებდა იმის გადმოცემას, რაც კომპლექსური და რთული იყო.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში შევძელი, კონფერენციაზე მიმეწვია იტალიაში. ვერასოდეს დავივიწყებ მისი სიამოვნების, სიხარულისა და კმაყოფილების ღიმილს მილანის ბრერას მუზეუმის, ჯოტოს ფრესკებით მოხატული პადუის სკროვენის კაპელისა და ვენეციის აკადემიის გალერეის მონახულების შემდეგ, ან როდესაც აღფრთოვანებული ჩერდებოდა იტალიური არქიტექტურის დიდოსტატების მიერ აგებული ეკლესიებისა და სასახლეების წინ. ახლა იგი ჩვენს შორის აღარაა, მაგრამ მას არასოდეს დავივიწყებ, ვინაიდან მუდამ თან ვატარებ მოგონებათა ზღვას, უფრო სწორად, ოკეანეს.

**ლუიჯი მაგაროტო**
რუსისტი, ქართველოლოგი
ვენეციის კა' ფოსკარის
უნივერსიტეტის პროფესორი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საპატიო დოქტორი
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის უცხოელი წევრი




# როკვით განფენილი სიცოცხლე

„შეწყვეტილი ცეკვა" – ასე ჰქვია წიგნს, რომელიც ვლადიმერ ხეთაგუროვის, ცნობილი მოცეკვავის, ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოგვითხრობს.

საქართველოს დამსახურებული არტისტი ვლადიმერ ხეთაგუროვი დაიბადა 1902 წლის 15 თებერვალს სოფელ წუნარში (ამჟამად სოფელს ხეთაგუროვო ჰქვია). 1920 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა გიმნაზია. სწავლის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა ოსური დრამატული წრის მუშაობაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ვალოდია უკვე ცეკვის ჩამოყალიბებული ოსტატი იყო და მიღებული ჰქონდა გამარჯვებულის მრავალი პრიზი და სამახსოვრო საჩუქარი.

1921 წელს ვლადიმერ ხეთაგუროვმა მუშაობა დაიწყო ცხინვალის საქალაქო კულტურის სახლის დირექტორად. ჩამოაყალიბა ბავშვთა ცეკვის სტუდია. 1923-1928 წლებში სწავლობდა მოსკოვში, კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში. 1930 წელს მუსაობდა თბილისის კინოგაერთიანებაში კულტფილმების განყოფილების უფროსად. 1931 წლიდან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო თეატრის დირექტორია.

1935 წელს მონაწილეობდა ხალხური ცეკვების ფესტივალზე ლონდონში.

საზღვარგარეთულ და საბჭოთა პრესაში ქვეყნდებოდა წერილები ქართველი მოცეკვავეების წარმატების შესახებ. პუბლიკაციებში ხაზგასმით იყო აღნიშნული ვლადიმერ ხეთაგუროვისა.და ილიკო სუხიშვილის ოსტატობის უმაღლესი დონე. ვ. ხეთაგუროვის გამოსვლებიდან გამოარჩევდნენ ოსურ მასობრივ ცეკვას „სიმდი", „ხანჯლურსა" და „შამილის ლოცვას".

ვლადიმერ ხეთაგუროვმა მოცეკვავის კარიერა 1957 წელს დაამთავრა. მისი დასკვნითი კონცერტი გაიმართა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, იქ, სადაც სიყმაწვილეში პირველად გამოვიდა ოსური საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გამართულ ცეკვების საღამოზე.

ვლადიმერ ხეთაგუროვი გარდაიცვალა 1973 წელს.

წიგნში დაბეჭდილია ცნობილ ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა მოგონებები, ჩანაწერები და წერილები სახელოვანი ოსტატის შესახებ, რეცენზიებისა და გამოხმაურებების ამონარიდები ჟურნალ-გაზეთებიდან, შვილებისა და შვილიშვილების მოგონებები და სხვ. მათ შორის არის ვლადიმერ ხეთაგუროვის ქალიშვილის, ცნობილი პოეტის, მზია ხეთაგურის ორი წერილი და ლექსი.

წიგნის შედგენა-გამოცემაში მონაწილეობდნენ რედაქტორი ირინე გოჩაშვილი, ტექნიკური რედაქტორი თამარ ხიზანიშვილი, დიზაინერი ზურაბ მეგრელიშვილი, მთარგმნელი გიორგი კევლიშვილი, პროექტის ხელმძღვანელი ზურაბ ბენდიანიშვილი.

წიგნი მომზადებულია ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) მხარდაჭერით.

**გელა ცინცაძე**

# ასურელ მამათა ნაკვალევზე

ნელ-ნელა დასასრულესკენ მიიწევს სრულიად საქრთველოს რუსთაველის საზოგადოების პროექტი „ასურელ მამათა ნაკვალევზე". პროექტის ხელმძღვანელია პოეტი დავით შემოქმედელი. ზემოთ ნახსენები საზოგადოების წევრებმა ამჯერად ბრეთის მონასტერი მოინახულეს, პიროს ბრეთელის საფლავზე სანთლები დაანთეს და ილოცეს, ღვთისმშობელს კიდევ ერთხელ შეავედრეს საქართველო; ქალბატონმა მარინა კოლხიდაშვილმა და ბატონმა ჯემალ ადამაშვილმა უფალს გალობით შესთხოვეს წყალობა ჩვენი ქვეყნისთვის.

პიროს ბრეთელი VI საუკუნეში მოღვაწე ათცამეტ მამათაგანი გახლავთ. ტოპონიმი ბრეთი სიტყვა „ბერეთს", ანუ ბერთა სამყოფელს უნდა აღნიშნავდეს. მდინარე ფრონეს ხეობაში დღეს არსებული ეკლესია VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება, მხოლოდ ჩრდილოეთ მინაშენი, ერთნავიანი ნაგებობა, სავარაუდოდ, პიროსის დროინდელია. როგორც ტაძარი, ასევე აქ არსებული დედათა მონასტერი, რუის-ურბნისის ეპარქიის შემადგენლობაში შედის. ისიც უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეებში ბრეთი მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი გახლდათ.

პიროს ბრეთელის ხსენების დღედ 15 (28) მაისია დაწესებული.

ვინაიდან ჯგუფი ბრეთის ტაძარში იმყოფებოდა, რუისის (VII-IX ს.ს.) და ურბნისის (VIII ს.) ტაძრების მონახულებაც გადაწყდა. მათმა დიდებულებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

განზრახული იყო კიდევ ორი მონასტრის მონახულება, მაგრამ წვიმიანი ამინდის გამო ულუმბოსა და სტეფანწმინდაში გამგზავრება ვერ მოხერხდა. იმედია, მალე დასრულდება ეს პროექტიც და როგორც დაგეგმილი გახლდათ, გადაღებული იქნება დოკუმენტური ფილმიც, რომლის რეჟისორია მარინა კოლხიდაშვილი, ოპერატორი – ჯონი ელაშვილი.

რაკი დრო საკმარისზე მეტი იყო, აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ დიდებულ ტაძარს, ატენის სიონსაც ეწვია ჯგუფი. ატენის სიონი მდინარე ტანას ხეობაში VII საუკუნეშია აგებული და მასთან უამრავი ისტორიული ეპიზოდი და ლეგენდაა დაკავშირებული. ამწვანებული მთებითა და ხევებით გარშემორტყმული, შემაღლებაზე მდგარი ტაძარი, მართლაც, განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

განსაკუთრებული მადლობა უნდა გადავუხადოთ რუსთაველის საზოგადოების მუდმივ თანამგზავრს, თეოლოგ ნიკოლოზ ცხომელიძესა და ამავე საზოგადოების მასპინძელს ატენის სიონში პაატა ბესტავაშვილს.

**ნინო ქუთათელაძე**

# სასუფეველში მაინც თუ ისვენებს სული?

ცოტა ხნის წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ბატონი თამაზ წივწივაძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ღონისძიება, სადაც მისივე სახელობის პრემიების გადაცემაც მოხდა.

გარკვეული მიზეზების გამო, ღონისძიებას ვერ დავესწარი, სათქმელი კი ნამდვილად მქონდა.

რას ვიტყოდი განსხვავებულს?

შეიძლება, არაფერს ისეთს, რასაც სხვა ვერ იტყოდა, თუმცა, რადგან ამქვეყნად ორი ადამიანიც კი არ არის იდენტური აზროვნებისა, მით უმეტეს, ცხადია, ჩემი შეხედულებაც ვერ დაემთხვეოდა აბსოლუტურად სხვის ნათქვამს, ამიტომაც გავკადნიერდები და „ლიტერატურულ საქართველოს" ვთხოვ თანადგომას.

ზემოთ ნახსენები ღონისძიება ბატონი თამაზ წივწივაძის მე-80 წლის იუბილესადმი იყო მიძღვნილი.

12 ივლისი თამაზ წივწივაძის გარდაცვალების დღეა. ვერც ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ჩემს დაბადების დღეს ვინმეს და მით უმეტეს ჩვენთვის ძვირფასი და ახლობელი ადამიანის გარდაცვალების დღე დაემთხვეოდა.

გულუბრყვილობაა, არა? მაგრამ მართლა ასე ვფიქრობდი აქამდე.

არც ისაა ჩემთვის მაინცდამაინც გასაგები, რატომ აქცია განგებამ ჩვენს საზიაროდ ისედაც თავისი დიდი შინაარსით (პეტრე-პავლობა) დატვირთული 12 ივლისი.

არდასავიწყებლად?

მაგრამ იყო თამაზ წივწივაძე ისეთი უფერული პიროვნება, ან სხვაში აგრეოდა, ან სულაც აღარ გხსომებოდა? ის იქიდანაც გვაერთიანებს, გვაახლოებს და იმ პრობლემებისაკენ გვახედებს, ასე უხვად რომ არის ჩვენს აგრერიგად შეჭირვებულ ქვეყანასა თუ მსოფლიოში.

ნებისმიერ დროს გადაშალეთ მისი, რომელიც გნებავთ, წიგნი. ყოველთვის გეგონებათ, რომ ნებისმიერი პუბლიკაცია სულ ახლა, ერთი წუთის თუ საათის წინაა დაწერილი.

არაერთხელ უთქვამთ ჩემამდეც, რომ თამაზ წივწივაძის პუბლიცისტიკა, კერძოდ კი, პოლიტიკური სატირა, გამორჩეული მიმართულება იყო ქართულ ლიტერატურულ სივრცეში. არაერთისგან მსმენია, როგორ ელოდებოდა ყოველ პარასკევს „ლიტერატურული საქართველოს" ახალ ნომერს, სადაც აუცილებლად ნახავდა თამაზ წივწივაძის მორიგ პუბლიკაციას, საქვეყნო პრობლემებზე ალესილ, ბრძოლის ჟინით აღსავსე დაუმორჩილებელ სტრიქონებს, რომლებიც წაკითხვისთანავე დავიწყებას არც ერთ შემთხვევაში არ ეძლეოდა. პირიქით! დღესაც ხშირად მხვდება ცალკეული ფრაზები აქა-იქ და არა მხოლოდ სალიტერატურო სივრცეში. თუმცა, ეს „სივრცეც" ისე გალარიბდა და გამეჩხერდა, მრჩება შთაბეჭდილება, რომ პროფესიული პასუხისმგებლობის ის სტანდარტი, რასაც თამაზ წივწივაძე და მასთან იდეურად ახლო მყოფი ადამიანები ამკვიდრებდნენ, ანუ ვის სიტყვასაც წონა ჰქონდა და ყურადღებას და პატივისცემას იმსახურებდა, სადღაც იკარგება, მკრთალდება, თითქოს უმეტესს უნდა დაუთმოს ადგილი, პროგრესულობის თვალსაზრისით, თუმცა სადღეისოდ არც ახალი ჩანს უკეთესი და არსებულიც წარსულთან რჩება.

ისეთი ქაოსია მთელ მსოფლიოში ამჟამად არა მარტო პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეური გაგებით, განვითარების ტრადიციულ ლოგიკას ვერც ლიტერატურა დაემორჩილება, ცხადია.

განსაკუთრებით იგრძნობა ეს აღრევა ჩვენთან, ჩვენ ხომ ყველასგან გამორჩეული ერი ვართ (ნაირ-ნაირი გაგებით)!

და – სინანულით ვფიქრობ, როგორ სჭირდება-მეთქი დღევანდელობას თამაზ წივწივაძე!

სჭირდება მისი ირონიული, სარკაზმამდე მისული ტონი.

სჭირდება ის აქცენტები, სხვათა თვალს რომ სულ არ აღიზიანებს.

სჭირდება თანადგომა, სხვისთვის საკუთარის უკანა პლანზე გადაწევა, უპოვარის შემწეობა და რაღაცნაირი უხერხულობა საპასუხო მადლიერების გამოხატვისას...

ქვეყანას აკლია თამაზ წივწივაძე!

ანუ სხვანაირად:

ქართულ სახელმწიფოებრიობას, ქართულ ენას, რწმენას და მამულს ჭირისუფალი სჭირდება!

ჩვენს ცნობიერებაში ასეთი ჭირისუფალი ყოველთვის მწერალი იყო, როგორც მოაზროვნე და სინათლისაკენ მსწრაფი.

ბოლო ათეულმა წლებმა იმდენი უკადრებელი ტვირთი აჰკიდა ქვეყნის გამორჩეულ სახეებს, მათი ჭირისუფლობის ხალხს, უბრალოდ, აღარ სჯერა, ახალი გონი და ახალი გული კი არა და არ ჩანს!

იქნებ, ეს ყველაფერი იმის გამოც ხდება, რომ ქართულმა ცნობიერებამ მემკვიდრეობითობა საერთოდ უგულებელყო! იქნებ, ამის გამოა, რომ დღევანდელობა საყრდენად აღარ აღიქვამს გუშინდელს. ამიტომაც ჰგავს ჰაერში მოტივტივეს და ილუზორულს.

ასეთივე ცარიელია თამაზ წივწივაძის ადგილი ჯერჯერობით, იქნებ, ამ სიცარიელის შევსების მცდელობა, გარკვეული გაგებით, მისი სახელობის ფონდის დაარსებაცაა, რომლის მოქმედების შინაარსი, რა თქმა უნდა, ლიტერატურის განვითარებაზე ზრუნვაა უპირველესად.

ფონდმა უკვე გამოხატა თავისი დამოკიდებულება თანამედროვე ავტორების მიმართ, რომელთა შორის მეც მოვხვდი და რისთვისაც ულრმეს მადლობას ვუხდი დამფუძნებლებსა და კომისიის წევრებს, უპირველესად კი, ქალბატონ დოდო წივწივაძეს იმ საქვეყნო საქმეთა განგრძობისა და ჭირისუფლობისათვის, რაც თამაზ წივწივაძის სახელთანაა დაკავშირებული.

**P. S.** და მაინც მგონია, ვერც სასუფეველში მოისვენებს-მეთქი თამაზ წივწივაძის სული, ვიდრე საქართველო ამ დღეშია, როგორშიც არის!

**ცირა შალაშვილი**



# ის იყო სარანგი საქართველოსი!

თამაზ წივწივაძე იყო მებრძოლი კრიტიკოსი (და არა მარტო ლიტერატურისა), მგზნებარე რედაქტორი, მწერლების წინამძღოლი, მეცენატი, ქველმოქმედი, მაგრამ როგორც მის მე-80 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ შეკრებაზე ერთ-ერთმა გამომსვლელმა (თუ არ ვცდები, ელიზბარ ჯაველიძემ) ბრძანა, იგი უფრო მეტი იყო, ვიდრე მწერალი, ვიდრე კრიტიკოსი, ვიდრე პუბლიცისტი. დიახ, მეტი იყო! იგი საზოგადო მოღვაწე გახლდათ. მისი რედაქტორობა, კრიტიკოსობა, პუბლიცისტობა, მწერლობა, საზოგადო მოღვაწეობა იყო შინაარსითაც, მიზნითაც და მიზანდასახულებითაც, რადგან, მუხრან მაჭავარიანის ფრაზას თუ გამოვიყენებ, „სამშობლო იყო მისთვის მთავარი".

ჩვენში უკვე დამკვიდრებულია სრულიად სამართლიანი აზრი იმის თაობაზე, რომ თამაზ წივწივაძემ სრულიად ახლებურად წარმოგვიდგინა სალიტერატურო კრიტიკის ჟანრი, მაგრამ ეს სიახლე, არსებითად, სატირისა და იუმორის ოსტატურად და დიდი დოზით გამოყენებას კი არ უკავშირდება, არამედ კრიტიკული მწერლების ორიენტაციას. მისი კრიტიკის ადრესატი იმდენად მწერალი კი არ არის, რამდენადაც მკითხველი.

ერთმა მწერალმა ფრიად მოსწრებულად შენიშნა: კრიტიკა ისე ეხმარება მწერალს, როგორც ასტრონომია ეხმარება ციურ სხეულებს მოძრაობაშიო. თამაზ წივწივაძემ კარგად იცოდა ეს და არც ცდილობდა, რაიმე ესწავლებინა მწერლისათვის, მისი კრიტიკის ობიექტისა თუ სუბიექტისათვის. იგი მკითხველის გათვითცნობიერებას მისი ზოგად-ლიტერატურული განათლებისა და მხატვრული გემოვნების აღზრდას ცდილობდა. იგი იმ ენით ელაპარაკებოდა მკითხველს, რომელი ენითაც ყველაზე მარტივად შეიძლებოდა ეჩვენებინა მისთვის, რა განსხვავებაა ნამდვილ ლიტერატურასა და სუროგატს შორის, გრაფომანებსა და ნიჭიერებით მირონცხებულ ადამიანებს შორის. მან სხვაზე უკეთ იცოდა, რომ „დიდი მწერალი არ არსებობს დიდი მკითხველის გარეშე". ამიტომ არის იგი პირველყოვლისა საზოგადო მოღვაწე, რადგან საზოგადოებრივი ცნობიერება, ეკონომიკური თუ ესთეტიკური, ისტორიული თუ სოციალური, საზოგადო მოღვაწეობაა, აბა, რა არის!

ძალიან აქტუალური და ეროვნული მნიშვნელობისა იყო მისი ლიტერატურული გარჯა, რადგან უკვე აშკარად ჩანდა როგორც საყოველთაო განათლებულობის დეფიციტი, ისე მხატვრულ-ლიტერატურული ცნობიერების დეფორმაციის ნიშნები: წიგნის მაღაზიებში კლასიკოსი მწერლების ჩამოფასებულ ტომეულებს ზედაც არავინ უცქეროდა, გარეთ გაშლილ დახლებთან კი თაღლითი მწერლებისა თუ ვაი-ისტორიკოსების წიგნების შესაძენად გრძელი რიგები იდგა.

თამაზმა კარგად იცოდა, რომ ვერანაირი კრიტიკოსი მწერალს წერას ვერ ასწავლის, რადგან „დაბადებულს კატის კნუტად, კანტი ესმის კანტი-კუნტად". ისიც მარგლავდა და მარგლავდა ლიტერატურულ ყანას და სარეველებს გამოსაჩენ ადგილზე ყრიდა, რათა გამვლელ-გამომვლელს კარგად დაენახა იგი. მისმა მძაფრმა სატირა-იუმორმა და მკითხველთა უზარმაზარი მასის ჰომერულმა სიცილმა ბევრ გრაფომანსა და გზასაცდენილ ადამიანს გააგდებინა ხელიდან კალამი, რითაც ისინიც გადაარჩინა და მათი პოტენციური მკითხველებიც.

მძიმე დროში უხდებოდა საზოგადოებრივი მოღვაწეობა თამაზ წივწივაძეს. ლიტერატურაშიც და პოლიტიკაშიც უკვე აშკარად ჩანდა ნეოლიბერალური სიბინძურის ნიშნები. აღარც „მწერლები" და აღარც ე.წ. პოლიტიკოსები აღარ ერიდებოდნენ ეროვნული ღირებულებებისა და თვით სიწმინდეების ხელყოფასაც კი. თავისი უძლიერესი სატირა-იუმორის ქუჩაში ნაწრთობი დაშნით უმოწყალოდ ხანჯლავდა იმ თავლაფდასხმულ „პროდვინუტებს"; რომლებიც სოროსისა თუ მისნაირების ძუძუნაწოვები იყვნენ და ახალი „კულტურული" ორიენტაციები შემოჰქონდათ ჩვენში.

ყველას ახსოვს ალბათ, როგორ გააშიშვლა თამაზმა ლიბერალი ლევან ბერძენიშვილი და როგორ დაანახა ყველას მისი მთელი ზნეობრივი თუ ინტელექტუალური უბადრუკობა. ასევე შემოახია (კალმით, ცხადია!) ვითომ ჟურნალისტის მანტია ისეთ სატელევიზიო „ასებს", როგორებიც იყვნენ გრიგოლია, კვესიტაძე, გვარამია და სხვები.

თამაზ წივწივაძე ადამიანი იყო, ძეხორციელი და შეიძლება ზოგჯერ ცდებოდა კიდეც, მაგრამ ის კი დაბეჯითებით ვიცი, რომ საკუთარი რწმენისა და მრწამსის წინააღმდეგ არასოდეს წასულა. არასოდეს იტყოდა „კი"-ს, სადაც „არა" უნდა თქმულიყო და არც „არას" იტყოდა იქ, სადაც „კი" იყო სათქმელი. სამშობლოს წინაშე მას არც არაფერი შეშლია და არც ცოდვა აძევს რაიმე.

ურთიერთობაში მოკრძალებულსა და შემწყნარებელს, აზრადაც არ მოსდიოდა კონფორმისტული ნაბიჯის გადადგმა, როცა საქმე დიდ და ავტორიტეტულ კაცებს ეხებოდათ. მან არ იცოდა „დიდი" და „პატარა" კაცების გარჩევა, როცა საქვეყნო საქმეს ემუქრებოდა საფრთხე, რადგან, ვიმეორებ, „სამშობლო იყო მისთვის მთავარი", უფრო მეტიც! მას მეგობრობაც კი „ავიწყდებოდა", როდესაც ეროვნული ინტერესების დაცვის აუცილებლობას გრძნობდა. ამის ქრესტომათიული მაგალითია მისი დამოკიდებულება საქართველოს იმჟამინდელ პრეზიდენტთან, ედუარდ შევარდნაძესთან, რომელთანაც მას ნამდვილად ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა...

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში პუტჩის შედეგად გამეფებული სახელმწიფოებრივი ქაოსი ასე თუ ისე მოწესრიგდა, მაგრამ კორუფცია აყვავდა, პოლიტიკური ინტრიგები გახშირდა, ყველა დეგენერატმა რეფორმატორი დაირქვა და ქვეყანამ, ფაქტობრივად, წინსვლის ორიენტირი დაკარგა. თამაზმა ჯერ დაიცვა მეგობარი პრეზიდენტი (რომლის უმოქმედობა უკვე აშკარად ნეგატიური იყო!) და შეცდომის გამოსწორების შანსი მისცა: ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში საქვეყნოდ განაცხადა: პრეზიდენტი ყველაფერს ხედავს, მაგრამ სროლის წინ, როგორც წესია, თვალი აქვს მოხუჭულიო. მერე, როცა შიდაპოლიტიკური სიტუაცია პრეზიდენტის მიერ მოყვანილმა ე.წ „რეფორმატორებმა" თავი აიშვეს, თამაზმა ქვეყნის გასაგონად გააფრთხილა პრეზიდენტი, შენივე გაზრდილი ლეკვები მგელ ტოტიასავით შექმას გიპირებენო. და როდესაც მისმა მეგობარმა პრეზიდენტმა ქმედითი ნაბიჯები მაინც არ გადადგა, თამაზმა გამოაქვეყნა ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური წერილი: „ბატონო პრეზიდენტო, თუ აღარ ისვრით, თვალი მაინც გაახილეთ!"

არ გაახილა და რაც დაემართა ქვეყანას, ყველამ იცის ეს!

პრეზიდენტ შევარდნაძისათვის მწარე სიმართლის საჯაროდ თქმას რაინდობა სჭირდებოდა. იგი არც მარგველაშვილი იყო და არც ზურაბიშვილი, გაბრაზებაც შეეძლო და ძალიც შესწევდა ქადილისა, მაგრამ... მეგობრისგან სიმართლის მოსმენაც შეეძლო და დაფასებაც. როდესაც ხელისუფლებაში ნაცები მოვიდნენ და „ლიტერატურულ საქართველოს" ომი გამოუცხადეს, შევარდნაძემ, კრწანისის რეზიდენციაში „შინაპატიმრობაში მყოფმა" განაცხადა: ისეთ საქართველოში ცხოვრება არ მინდა, სადაც „ლიტერატურული საქართველო" არ იქნებაო...

„ლიტერატურულ საქართველოში" გამოსაქვეყნებელი მასალა რომ შევიდოდა, იმას კი არ კითხულობდა მთავარი რედაქტორი, მასალის ავტორი ვინ არისო, არამედ იმას არკვევდა, ქართულ საქმეს წაადგება თუ არაო. ერთი ამბავი უნდა გავიხსენო ამასთან დაკავშირებით.

სააკაშვილის მთავრობამ ნამეტნავად რომ შეუტია „ლიტერატურულ საქართველოს" და რედაქციის შენობა რომ დაატოვებინეს, გაზეთისა და მისი რედაქტორის მხარდასაჭერად ერთი ლექსი დავწერე ფშაურ კილოზე და ბათარეკა გაბიდაურის სახელით გავაგზავნე რედაქციაში, ვიფიქრე, ვინმე ბათარეკას წერილს ავტორის გაუცნობლად ხომ არ დაბეჭდავს, მაგრამ იცინებენ მაინც-მეთქი. იმ ლექსში კაი-კაი მკვახე და არასტანდარტული გამოთქმებიც ბლომად იყო. იმავე კვირის პარასკევს ვიყიდე „ლიტერატურული საქართველო" და ჰოი, საოცრებავ! პირველ გვერდზეა დაბეჭდილი „ბათარეკა გაბიდაურის" ლექსი სათაურით „ლიტერატურული საქართველოს" მთავარ რედაქტორს თამაზ წივწივაძეს". არავისთვის არაფერი მითქვამს, მომდევნო ნომერში თამაზმა პამფლეტი რომ გამოაქვეყნა სააკაშვილის ხელისუფლებაზე, იმის საილუსტრაციოდ, რომ ხალხიც მას უჭერდა მხარს, განმეორებით გამოაქვეყნა „ბათარეკას" ლექსი. „ბათარეკას" გამოხმაურებებიც მოჰყვა, ერთი ქალბატონი ლექსით გამოეხმაურა და „ძმაო ბათარეკა"-ო, შენთან ვართ ჩვენც და მიგვითვალე ლაშქარშიო... და ბათარეკას „შედევრი" მესამედ (ზედიზედ!) დაიბეჭდა გაზეთში. ვეღარ მოვითმინე და ვკითხე თამაზს: კაცო, სამჯერ რომ გამოაქვეყნე იმ ბათარეკას ლექსი, ვინ არის ასეთი, იცნობ-მეთქი? არ ვიცნობ, მაგრამ ვფიქრობ, არჩილ სულაკაურის არისო და ვიდრე თვითონ არ გამომიტყდება, არაფერს ვეუბნებიო. (იმ ხანებში არჩილ სულაკაურმა ფსევდონიმით გამოაქვეყნა ქართული შინაარსის „მინი ანდერძი", ფრანსუა ვიიონის ხმაზე). აბა, თავს ნუ შეიწუხებ და დაიმახსოვრე, რომ ზედიზედ სამჯერ გამოაქვეყნე ჩემი ლექსი-მეთქი, რისი პრეცედენტი, ალბათ, არც არსებობს-მეთქი. ამოვიღე ჯიბიდან „ბათარეკას" ლექსის ხელნაწერი დედანი. ჯერ დიდად გაუკვირდა, და მერე თვითონაც ბევრი იცინა და სხვებიც აცინა.

ერთმა ბრძენკაცმა თქვა: საქართველოში ქართველს აღიარებისთვის მუდამ აკლია ერთი რამ – სიკვდილიო. თამაზს ეს სიბრძნე არ ეხება, რადგან იგი სიცოცხლეშივე ერთობ აღიარებულიც იყო და პოპულარულიც, მაგრამ მისი ჭეშმარიტი დაფასება მაინც მომავლის საქმეა. ეს მომავალიც დადგება!

**ზურაბ ცუცქირიძე**

# სხვისი გაჭირვების გულთან მიმტანი

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლები კარგად მახსენდება. ჯერ კიდევ არ იყო არეული ქვეყნიერება, ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში მიედინებოდა. იმხანად უცხოური ლიტერატურის ალმანახ „საუნჯის" რედაქციაში ვმუშაობდი. ეს ის დრო იყო, როცა მთავარ რედაქტორად მუხრან მაჭავარიანი დაინიშნა. რედაქციის კარი სხვა ცნობილმა მწერლებმაც შემოაღეს: რეზო ჭეიშვილმა, თამაზ წივწივაძემ, გივი ძნელაძემ. უკეთესს რას ინატრებდა კაცი, ახალ რედაქციას ჩაეყარა საფუძველი, იყო მუდმივი ლხინი და აზრთა ხალისიანი გაცვლა-გამოცვლა. ახალ თანამშრომლებს ძველები დახვდნენ, უმთავრესად ქალბატონები, ხელგანაფული მთარგმნელები და რედაქტორები: ნანა დარჩია, რუსუდან ქებულაძე, ელზა ახვლედიანი... ლაღი, თავაზიანი და თავისუფალი ადამიანები მოვიდნენ და ასეთივე ატმოსფერო მოიტანეს, საქმეც კარგად აეწყო. რედაქცია რედკოლეგიასთან თანამშრომლობდა. საგაზეთო ჯიხურებში გასაყიდად გამოტანილ ჟურნალ „საუნჯეს" იოლად ვერსად შეიძენდი, გამოსვლისთანავე ქრებოდა...

თამაზ წივწივაძეს სამეგობროში ყველა განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა. ენდობოდნენ მის გულუხვობას და გამოცდილებას, ვაჟკაცურ ბუნებას და ულალატობას. ამ თვისებებს მისივე თავმდაბლობა ერწყმოდა. მახვილგონიერება, ზუსტად მიგნებული სატირული ტონალობა, სიმსუბუქე და სისხარტე – ყოველივე ეს გამოარჩევდა თამაზის პუბლიცისტიკას. სათქმელი ძალდაუტანებლად ემორჩილებოდა, ამიტომაც მისი წერილები ერთი ამოსუნთქვით დაწერილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ახლახან თამაზის ხსოვნას ემზარ კვიტაიშვილმა მისთვის ჩვეული ოსტატობით და სისადავით ალბეჭდილი მოსაგონარი უძღვნა. მეც დაახლოებით იგივე თვისება შევნიშნე თამაზის ხასიათში, რაც მან ადრევე მოიხელთა – სხვისი სატკივრის გულთან მიტანის და გაზიარების ნიჭი. ეს უიშვიათესი თვისება ამ კაცის უაღრესად მგრძნობიარე ბუნებას ამჟღავნებდა. თამაზი საამისოდ მუდამ შემზადებული გახლდათ.

ერთი ასეთი შემთხვევა მახსენდება: „საუნჯეში" თანამშრომლობიდან წლები იყო გასული, როცა ჩემი მეგობარი და თანაკლასელი შემხვდა. ძალიან შეწუხებული ჩანდა და თანდათან გამენდო, შემომჩივლა, ვაჟიშვილი ფეხბურთს თამაშობს, მეკარეა და ფართო ასპარეზზე გასვლის საშუალებას არ აძლევენო, მთხოვა, იქნებ ვინმე წაეშველოს, გასინჯონ და, თუ გამოდგება, გამოსაჩენ გუნდში ათამაშონო. იმწამსვე თამაზ წივწივაძე გამახსენდა, ვიცოდი, უარს არ მეტყოდა. ამავე დროს ისიც ვიცოდი, სპორტულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა და ამიტომაც ბევრი აღარ მიფიქრია, იმავე თანაკლასელთან ერთად მივაკითხე. მივაკითხე-მეთქი, იმიტომ ვამბობ, როგორც ვთქვი, „საუნჯეში" თანამშრომლობის შემდეგ ბევრი დრო იყო გასული, თამაზი უკვე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გახლდათ და ჩვენც იქ ვეახელით. ჩვეული უბრალოებით მიგვიღო. ჩემი მისვლა არ გაჰკვირვებია, გაეხარდა: ჩემს თანაკლასელს გამოელაპარაკა, ფრთხილად ჩაეძია და საუბარში საერთო ნაცნობებიც აღმოაჩინა. შვებით ამოვისუნთქე. თამაზის პიროვნულმა უშუალობამ და ტაქტმა ყოველგვარი უხერხულობა გამიფანტა. ჩვენც ვენდეთ და გავუზიარეთ ჩვენი გასაჭირი. მან სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება და პირდაპირ „დინამოს" ფეხბურთელთა ბაზაზე სახელოვან ფეხბურთელ გივი ნოდიასთან გაგვაგზავნა. ცხადია, თავიდანვე გვითხრა, ჩემი სახელით მიდითო. ერთი ბარიერი უკვე გადალახული მქონდა, ახლა მეორე უნდა გადამელახა... მაშინ მომხდარმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა... „დინამოს" ბაზის ერთ ოთახში გივი ნოდია დაღლილი და ჩაფიქრებული შემოგვხვდა. რა საქმეზე ხართ მოსულები და უშუალოდ ჩემთან ვინ გამოგიშვათო, შეგვეკითხა და, ცოტა არ იყოს, დაეჭვებულმა გადმოგვხედა. მეც მაშინვე მივუგე, თამაზ წივწივაძის გამოგზავნილები ვართ-მეთქი. და უეცრად საოცრება მოხდა, ფრაზა ჯერ ბოლომდე წარმოთქმულიც არ მქონდა, რომ შევნიშნე – დაღლილ, დაეჭვებულ სახეზე ღრუბლები გაეფანტა და მზის სხივებმა გამოანათა. „თამაზ წივწივაძე" – ხმადაბლა წარმოთქვა ყველასათვის ცნობილმა ფეხბურთელმა და თითქოს რაღაც გაახსენდაო, მთელ სახეზე მადლიერების ნათელი ღიმილი გადაეფინა. მე გაკვირვება არ შევიმჩნიე და მოსალოდნელ გაგრძელებას დაველოდე. გივი ნოდიამ რამდენიმე შეკითხვა კიდევ დაგვისვა, გაერკვა ვითარებაში და გვითხრა, რომელიმე გუნდში სასინჯ თამაშებს ვათამაშებ, ასპარეზი მიეცემა და მერე თვითონვე უნდა იმარჯვოსო. მართლაც ასე მოხდა: სასინჯმა თამაშებმა სასურველი შედეგი გამოიღო და თანაკლასელის ვაჟიშვილმა დახშული წრე გაარღვია.

მახსოვს, როგორ გვიხაროდა...

ამის შემდეგ თამაზი მალევე ვნახე. როგორ არის საქმეო, მკითხა. მოკლედ გადავეცი მომხდარის თაობაზე და კიდევ ერთხელ გადავუხადე მადლობა. ძალიან ჩქარობდა, თუ რამე იქნება კიდევ საჭირო, შემატყობინეო, მითხრა და სწრაფადვე გამშორდა. მაშინვე ის გავიფიქრე, ალბათ ახლაც ვიღაცის დასახმარებლად მიიჩქარის- მეთქი... მისი მოქმედების დიაპაზონი ხომ ყოველთვის ძალზე ფართო იყო. არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს ეხმარებოდა, არამედ მწერლობისთვის და ქვეყნისთვის საჭირბოროტო საქმეებს აგვარებდა. ამიტომაც ჩქარობდა, ძალიან ჩქარობდა, უკვე მოგვარებული და დასრულებული საქმეებისთვის კი აღარ ეცალა.

P.S. თამაზ წივწივაძის პრემიის დაარსება ნამდვილად სასიკეთო და სასიხარულოა. მადლობას ვწირავ ჟიურის ამ პრემიის მონიჭებისთვის.

**ანდრო ბუაჩიძე**

# ერთი დიდი წიგნი




თამაზ წივწივაძეს ამ წიგნის ჩანაფიქრი არ ასვენებდა. ფიქრობდა, ისეთი წიგნი დაეწერა, რომ ცხოვრება, ჩვენი რეალობა გამადიდებელი შუშით დაენახვებინა მკითხველისთვის. წერდა კიდეც: „ბედისწერასავით ავიჩემე, ისე არ მოვკვდე, ერთი დიდი წიგნი არ დავწეროო: რა ქვეყანაში, ვის გვერდით და როგორ ვცხოვრობდით! ამ წიგნის დაწერას სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ვაპირებ, გამოქვეყნებას – სიკვდილიდან ცოტა ხნის შემდეგ!"

ეს იყო 2018 წლის 12 ივლისს.

გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ გამოვიდა წიგნი „რა ქვეყანაში, ვის გვერდით და როგორ ვცხოვრობდით". ეს არის თამაზ წივწივაძის დიდი წიგნი, რომელშიც შედის მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული ოცდამეერთის ლამის ოციან წლებამდე დაწერილი საუკეთესო კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატიები. ესენია, მაგალითად, „ლოზუნგების ქვეყანა", „გაილვიძეთ, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ!", „გამოვაცხადოთ საქართველო უკომუნისტებო ზონად", „კრემლის აგენტურა საქართველოში", „დამარტყი, მაგრამ მომისმინე", „მომისმინე, თორემ დაგარტყამ", „აილე შენთვის, შენც ხომ შევარდნაძე არა ხარ", „რაკი აღარ ისვრით, თვალი მაინც გაახილეთ, ბატონო პრეზიდენტო", „სახელისუფლო ბარდაკი საქართველოში", როგორ ვანგრევდით საქართველოში... საბჭოთა კავშირს"... სულ 130 სტატია.

შთამბეჭდავი სურათია, იცვლება დრო, მიდიან კომუნისტები, მიდის კომპარტია, მოდიან ახალი პარტიები, მოდის თავისუფლება, მოდის პრობლემები, დაპირისპირებები, ომები, სისხლი, სიღარიბე, შიმშილი, კორუფცია... პირველი მთავრობა, მეორე მთავრობა, მესამე მთავრობა, მეოთხე, მეხუთე. იცვლება ცხოვრების ხასიათი... და ეს არის მთელი კალეიდოსკოპი, თამაზ წივწივაძის სასიტყვეთი, გამადიდებელი შუშით დანახული თანამედროვე ქართული მარაზმი.

**გელა ცინცაძე**



ზოია ვაშაკიძე

*ცეძრის იზოში*

**თამაზ წივწივაძის ხსოვნას**

ქარო, იქროლე ფრთხილად,
აქ ქრისტეს რაინდს სძინავს.
მთვარე ღამეებს უთევს,
თავს ანგელოზი ადგას
და სხივთა სანთლებს უნთებს!

. . .

მოწყენილია ძველი ფიხონი,
ტყე და წისქვილი მოწყენილია,
ნუხან მდინარის სანაპირონი,
უკაცო სოფელს შფოთვით ძილი აქვს,
აქ მზე და მთვარე მოწყენილია!

# დიდი ინსპირატორი

ოთხი წელი გასულა თამაზ წივწივაძის გარდაცვალებიდან, ოთხი გრძელი წელი, ამავე დროს, ერთ გაელვებას რომ ჰგავდა.

განვლო გლოვის დღეებმა. თვეებმა და მასთან მიმართებაში რაც დაგვრჩა მის მეგობრებს, ახლობლებს, ლიტერატურულ სამყაროს, მის მკითხველებს, მისი ჯერაც შეუცნობი ფენომენის თაყვანისმცემლებს, იმას სინანულისა და სევდის განცდა ჰქვია და კიდევ სიამაყე იმის გამო, რომ ამ დიდებულ პიროვნებას, მწერალსა და მოაზროვნეს, ჭეშმარიტ ერისკაცს პირადად ვიცნობდით, მის თანამებრძოლებად მივიჩნევდით თავს და მასთან ერთად ვეწეოდით უმძიმეს ჭაპანს.

თამაზ წივწივაძე ბრძენი კაცი იყო და კარგად მოეხსენებოდა, რომ მონობაში დაბადებული ერი ვერასოდეს შეაბიჯებდა აღთქმულ ქვეყანაში. აკი თვითონაც ვერ შეაბიჯა, მაგრამ... აბა, როგორ წარმოიდგენდა, რომ მონობიდან თავდახსნილი ხალხის ერთი ნაწილი ვერ მიხვდებოდა ჭეშმარიტი თავისუფლების არსს და მაშინვე ახალი ბატონის ძიებას შეუდგებოდა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სწორედ საქართველოში აღმოჩნდნენ ინდივიდები, რომლებსაც რატომღაც არ ეპიტნავათ ქართული ენა, ენა – ლაზარე და იმ დღეზე ოცნებობენ, როცა საქართველოში სახელმწიფო ენად ინგლისური გამოცხადდება. აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც უფასო ვექილებად მოევლინენ ამ იდეის ავტორებს და დაუფარავად, ურცხვად გამოაცხადეს, ქართულ ენას მხოლოდ ისინი არ იცავენ, ვინაც ინგლისური არ იცისო.

თამაზ წივწივაძე სწორედ ასეთ ვაიქართველებს ებრძოდა და სრულად აშიშვლებდა მათ სახეს, რომელზეც ყოველივე ქართულისადმი ზიზღი, სიძულვილი, ბოღმა და აპათია იყო აღბეჭდილი...

თამაზ წივწივაძე ქართული მწერლობის უერთგულესი გულშემატკივარი და მეციხოვნე იყო. მის თვალწინ იბადებოდა ახალი საქართველო – მისი საესავი სამშობლო, მძიმე ნაბიჯებით, გაჭირვებით, ძალების უკიდურესი მობილიზებით რომ მიიწევდა წინ, რათა ცივილიზებული სამყაროს სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო. მას მტკიცედ და ურყევად სწამდა, რომ ბოლოს მაინც გავიტანდით ღელოს იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ამ დიდ, საშვილიშვილო საქმეში თავისი წონადი წვლილი ქართულ მწერლობასაც უნდა შეეტანა, მაგრამ ბატონი თამაზის თვალწინ ეს თავმოსაწონი მწერლობა ძლიერთა ამა ქვეყნისათა სასიკვდილოდ გაწირეს და ერთ-ერთ ყველაზე უფრო დაუცველ, გაჭირვებულ ფენად აქციეს.

თამაზ წივწივაძე ამას როგორ შეურიგდებოდა და ისიც, ქართველ მწერალთა უპირობო წინამძღოლი, უშიშრად გადაეშვა ქართული მწერლობის დასაცავად გამართულ უთანასწორო ომში და სანამ პირში სული ედგა, ამ ბრძოლიდან არ გამოსულა...

ამ ოთხი წლის განმავლობაში მასზე ძალზე ბევრი ითქვა და დაიწერა, ასე რომ, თქვენს მონამორჩილს სათქმელიც ბევრი აღარაფერი დარჩენია. მხოლოდ იმას ვიტყოდი, რომ თამაზ წივწივაძე, მწერალი, კრიტიკოსი, მხატვრული პუბლიცისტიკის – ლიტერატურის ახალი ჟანრის დამფუძნებელი, ერისკაცი, ამავე დროს, დიდი ინსპირატორიც იყო. ვისი ან რისი, ამას ახლავე მოგახსენებთ, თუმცა ჯერ იმას ვიტყოდი, რომ ნებისმიერ განმარტებით ლექსიკონსა თუ ლიტერატურათმცოდნეობის სახელმძღვანელოში ინსპირაცია განიმარტება როგორც მხატვრული შთაგონება, ვისმე შეგულიანება, გინა წაქეზება.

ვინ რაზე წააქეზა ან შეაგულიანაო, უკვე ვხედავ მავანთა ირონიულ გამომეტყველებას. და მათ დასაშოშმინებლად სათქმელს ახლავე მოგახსენებთ. საქმე ერთ დამწყებ დრამატურგს ეხება, რომელმაც სწორედ ბატონი თამაზის შთაგონებით შექმნა მართლაც რომ მისი ნიჭის საკადრისი ერთაქტიანი პიესა „უწმინდესი, წივწივაძე, წნევა და მე". ამ პიესას დიახაც რომ კლასიკური ნოველის ფინალი აქვს. მის ავტორს დრამატურგიაში მას მერე ბედი აღარ უცდია, იმდენად დიდი და მოულოდნელი იყო ის სიხარული, რაც მან და მერე სრულიად საქართველომ განიცადა ამ „პიესის" გაცნობისას.

ეს „დრამატურგი" მაგალი თოდუა იყო, ბრწყინვალე ირანისტი და მთარგმნელი. პიესა კი მისი და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის დიალოგისგან შედგებოდა, რომლის დროსაც ჩვენმა სულიერმა მწყემსმა თამაზ წივწივაძე ასე დაახასიათა:

„საქართველოში იშვიათად ნახავთ ასეთ ღვთის კაცს".

ამ ერთ წინადადებაში საოცრად ზუსტად და ტევადად აისახა თამაზ წივწივაძის პიროვნება, მისი ღვაწლი და უებრო რაინდული სამსახური მშობელი ქვეყნისადმი.

ღვთის კაცი!

მართლაც ღვთის კაცად მოევლინა ლიტერატურულ სამყაროს, სრულიად საქართველოს ბატონი თამაზი, რომლისთვისაც სიცოცხლის საფუძველს შორეული საუკუნეებიდან ექოსავით გადმოსული „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა" წარმოადგენდა და კიდევ თავისი სიდიადით სულის შემხუთავი „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი"...

ღვთის კაცი იყო და, რა გასაკვირია, რომ ამ ცნებების შესაბამისად ეცხოვრა, ეცხოვრა სახელოვნად და აღსრულებულიყო სახელოვნად.

როგორ ჰგავდა მის სამშობლოს, მის მშობელ ხალხს – მასავით სუფთა, შეურყვნელი, ხალასი და სადა იყო.

არსთაგამრიგემ მარადიულ ნათელში ამყოფოს მისი ნათელი სული.

**ზაალ ბოტკოველი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თავთქმა

## თამაზ წივწივაძის წიგნისა „მოცლილი დღის ქრონიკები“




ამ მშვენიერი წიგნის საწინამძღვრო ტექსტის შედგენაზე შემოთავაზება შემდგენლისგან, ავტორის დაიკოსგან მივიღე. ჩვენს ძვირფას დოდოს, რომელთანაც ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ჭერქვეშ თავმოყრილი რედაქციების შემოქმედებით ადამიანებთან და იქ მიმსვლელ-მომსვლელებთან სიამაყის განცდით მოსაგონარი წლები გვაქვს გატარებული, უარს როგორ ვეტყოდი. დასაბეჭდად გამზადებული წიგნის ელექტრონული ვერსიაც გადმომიგზავნა.

ნაცნობი ტექსტების გადაკითხვისას ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს წარსული ჩვენი ძვირფასი თამაზ წივწივაძის ხმით და განწყობით მელაპარაკებოდა.

ხომ ყველას გვსიამოვნებს გარდასულ დღეთა ტკბილმოსაგონარი გახსენებით ჩვენში გაღვიძებული ემოცია. ჰოდა, ამ წიგნში არაერთი ასეთი მოგონება დაგიამებთ სულს, დროებით გადაგავიწყებთ ყოველდღიურობის თანამდევ უსიამოვნებებს.

სხვადასხვა დროს, იმ ეპოქაშიც და ამ დროშიც, რამდენიმე გამოცემის ავტორიც ვყოფილვარ, რედაქტორიც, წინათქმებიც და რეცენზიებიც დამიწერია, მაგრამ ახლა თამაზ წივწივაძის ბაჯაღლო შემოქმედების ამ ბრილიანტის თვალის ელვარებამ მეც მისეულ ტალღაზე გადამიყვანა.

ვისაც თამაზის წერის სტილი და მანერა ახსოვს, ამ წიგნში შეკრებილ, კეთილსასურველი კრიტიკის ცხაურში გატარებულ ქართული სპორტის მისეულ აღქმა-გააზრებას რომ გაეცნობა, სულ სხვა ავტორს აღმოაჩენს – კრძალვით მართლის მთქმელს ჩვეული იუმორით გემრიელად შეზავებულ-შეკაზმული ანალიზით. მერედა, როგორ მოუხდა ეს მისეული ხელწერა სპორტის თემას. ასეთი სახალისო მანერით ფაქტები და მოვლენები მკითხველისთვის ჯერ არავის შეუთავაზებია ქართული სპორტის ჟურნალისტიკაში და ავტორი ამ სიახლის მოთავედაც გვევლინება. საგანძურად მომეჩვენა ეს კრებული – თამაზისეული ხედვა-შეფასება განსხვავებული მუხტისაა და მკითხველი სწორედ ამ განსხვავებულობაში ხედავს ემოციურ ხიბლს. და როგორ ოსტატურად, გულის გულში ჩამწვდომად ავლებს პარალელს თანამედროვე ქართველ ათლეტთა წარმატებებსა და წინაპრების საგმირო საქმეების მემკვიდრეობაზე, გვახსენებს, რომ „აი, ამ წინაპართა სისხლი ჩქეფს დღეს ჩვენს სახელოვან ოლიმპიელთა ძარღვებში“...

კრებულში საკმაო ადგილი ეთმობა ჭადრაკს და თუნდაც ის, რომ ამდენი ცნობილი ქართველი მწერალი და მოღვაწე გამოთქვამს თავის აზრს და გვიზიარებს შთაბეჭდილებებს ბრძნულ თამაშზე, თანაც თამაზის ნაბაძვით იუმორნარევი სილაღით, ნამდვილად ერთ რამედ ღირს.

მწერალთა სულიერად ყველაზე ახლო მეგობრებად თამაზი მოჭადრაკეებს ცნობდა და მის მიერ ორგანიზებულ ერთობლივ ღონისძიებებში სრულიად ახლებურად გამოსხივდა ორივე მხარის სიდიადე ჭადრაკის შუამავლობით.

მომეჩვენა, უკაცრავად, კი არ მომეჩვენა, ასეა: დღემდე არასდროს წამიკითხავს ისეთი შედარება-პარალელები და შეფასება-დასკვნები სპორტის თემაზე, როგორიც მისეულად იუმორგაჯერებული მოაქვს მკითხველამდე ავტორს.

ვერ იტყვით, რომ მანკიერების გასაჯაროებისას ემოციებსაა აყოლილი – მისთვის ეს არც შურისძიებაა და არც ნიშნის მოგება, სინანულია მხოლოდ, ადამიანური სინანული, გასათვალისწინებელი!

ჩვენში, როგორც წესი, პოლიტიკა ყველაფერშია ჩამღვრეული და ავტორიც, როცა სამსჯელო თემა პოლიტიკასთან შესადაგებაშია, თავისებურად გვახალისებს ნააზრევით, რაც ასევე ხიბლავს მკითხველს.

და კიდევ: თამაზის გარდა, ვის გონებაში დაიბადებოდა ნიავთა კონკურსი საჰარაში, ანდა „დედამიწის ზურგზე გაბნეული მოხეტიალე ქარების წყნარი ოკეანის აუზში თავმოყრა და სპორტის ამ ულამაზეს სახეობაში სახელდახელო შეჯიბრების გამართვა“...

მკითხველი გაოცდება სპორტისა და ლიტერატურის თანხვედრის სხვა სიახლეებითაც.

მოკლედ, წაიკითხავთ და ამ კრებულში თავად უფრო მეტს აღმოაჩენთ, ვიდრე აქ დავწერე!

კრებულის სულ ბოლო სტრიქონის გააზრებისას კი ერთი გემრიელადაც გადაიხარხარებთ!

აბა, თქვენ იცით!

**თენგიზ გაჩეჩილაძე**



# ერთად, ერთგულებით

ჩემი შემოქმედებითი ურთიერთობა ჟურნალ „დილასთან“ XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო, როდესაც შესანიშნავმა ქართველმა მხატვარმა შალვა ცხადაძემ, მე, ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიის სტუდენტს, რამდენიმე საბავშვო მოთხრობის დასურათება შემომთავაზა. მაშინ პირველად გავეცანი საბავშვო მხატვრობას და იმ დროიდან მოყოლებული – დღემდე მისთვის არ მიღალატია...

მას შემდეგ ჟურნალ „დილაში“ ბევრი ხელმძღვანელი და მთავარი მხატვარი შეიცვალა, ყველასთან ჩინებული ურთიერთობა მქონდა, მაგრამ რაც ქალბატონი დოდო წივწივაძე შეიქნა რედაქციის ხელმძღვანელი, ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა. რედაქციაში საოცარი სითბო და სიყვარული, ქართველი ბავშვების ერთგული სამსახურის გრძნობა სუფევს, არავითარი ანგარება და ასე მგონია, მეც ერთგულად ვემსახურები ამ რედაქციას!..

ჟურნალ „დილას“ გარდა, შემოქმედებითი ურთიერთობა მქონდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციასთან, მის მთავარ რედაქტორ თამაზ წივწივაძესთან... სამწუხაროდ, ეს ურთიერთობა ხანმოკლე აღმოჩნდა, იგი ძლიერ ადრე წავიდა ამქვეყნიდან... ბატონი თამაზის გარდაცვალების შემდეგ მისი რამდენიმე წიგნი მხატვრულად გავაფორმე და როგორც შემიძლია, ისე ვუდგავარ ამ ოჯახს გვერდში...

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩამოყალიბებულმა თამაზ წივწივაძის სახელობის ფონდმა ჩემი შრომა დააფასა და მისი სახელობის ლიტერატურული კონკურსის – „ფრთხილად, წინ მკითხველია!“-ს პრემია მომანიჭა – საუკეთესო საბავშვო ილუსტრაციისათვის...

დიდად მადლობელი ვარ!..

**მალხაზ კუხაშვილი**

# გამორჩეული ჯილდო

არის წუთი, თავისი მოულოდნელობით, ზენიტში ასული სიხარულით თავს სამუდამოდ რომ დაგამახსოვრებს და დღეებად, თვეებად გადაგიქცევს ბედნიერების შეგრძნებას...

ჩემთვის ასეთი გახლდათ თამაზ წივწივაძის სახელობის ფონდის ლიტერატურული კონკურსის „ფრთხილად, წინ მკითხველია!..“ ჟიურის გადაწყვეტილებით, ამ დიდი კრიტიკოსისა და მოღვაწის სახელობის ლიტერატურული პრემიის მონიჭება.

ბატონ თამაზთან ჩემი ურთიერთობა დღეებს და თვეებს ვერ დაითვლის. სულ რამდენიმე შეხვედრა მახსენდება, მაგრამ ისეთი შეხვედრა, სამუდამოდ სულს რომ დააჩნდა. მახსოვს ჩემი პირველი წიგნის „გაზაფხული, უშენობით ცივი“ წარდგენა მწერალთა სახლში. ბატონი თამაზი მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო. მეხსიერებამ ცოცხლად შემომინახა ის განცდა, როცა დარბაზში შემოსული თამაზ წივწივაძე დავინახე. მისი მოსვლა უდიდესი მხარდაჭერა იყო ჩემთვის, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალისთვის, პირველ ნაბიჯებს რომ ვდგამდი სამწერლო ასპარეზზე და ამ მხარდაჭერამ, მისმა შექებამ ბევრი რამ სამომავლოდაც განმისაზღვრა...

ამ წერილის თემა არ არის მისი, როგორც ერისკაცისა და მოღვაწის შეფასება, ამას თაობები გააკეთებენ, მის გამორჩეულ პუბლიცისტიკაში, კრიტიკულ წერილებში ჩადებულ კოდსაც მომავალი უკეთ გაშიფრავს.

აქვე არ შემიძლია არ ვთქვა, ამ წერილებმა თანამედროვე მკითხველთაგან თაყვანისმცემელთა დიდი არმია თუ შესძინა, ასევე მტერიც მოუმრავლა, მაგრამ მას თავისუფლად შეეძლო გაემეორებინა გერმანელი საეკლესიო რეფორმატორის მარტინ ლუთერის სიტყვები: „მე აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს. ღმერთი იყოს ჩემი მფარველი!“ ურთულესი და უმძიმესია ერისკაცის მანტიის ტარება, მაგრამ ბატონმა თამაზმა ეს ღირსეულად შეძლო...

მინახავს, მასთან სათხოვნელად მისულ ადამიანებს როგორ არ აჩერებდა მისაღებში (უხერხულად გრძნობდა თავს) და ყველა ერთად შეჰყავდა კაბინეტში. მისი კეთილი გული უამრავი ადამიანის დასახმარებლად იყო მზად. ახლობლებისგან გამიგია, რომ ხელფასიდან თითქმის არაფერი რჩებოდა, იმდენ შეჭირვებულ ადამიანს ეხმარებოდა...

ამ ცოტა ხნის წინათ ბატონ თამაზ წივწივაძის სახელობის ლიტერატურული პრემია გადმომეცა – ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი გამორჩეული, ძვირფასი ჯილდო!.

**მარინა თექთუმანიძე**

# ახლაც იბრძვის

დიდებული მამულიშვილი და პატრიოტი გახლდათ ბატონი თამაზ წივწივაძე. ადამიანი, რომელიც მთელს საქართველოს დააკლდა, რადგან ძალზედ იშვიათად იბადებიან ადამიანები, რომელთა ხელშიც კალამი ხმლად იქცევა. ამისათვის ხომ სამშობლოს სიყვარულით სავსე გულის და მჭერმეტყველი ენის გარდა, რაინდული, მებრძოლი სული და ნამდვილი ადამიანობაა საჭირო. ყველა ეს თვისება და უნარი უშურველად დაანათლა ბუნებამ ბატონ თამაზს. სწორედ ამიტომაც იბრძოდა ასე ოსტატურად და ლაღად. მისი ბუნება ხომ უბრალოდ ვერ შეეპუებოდა უსამართლობას.

იბრძოდა და იბრძვის ახლაც, დიახაც, ახლაც იბრძვის და კიდევ ძალიან დიდხანს გაგრძელდება მისი ეს ბრძოლა ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის იმ უბადლო ნამუშევრებით, რომელთა ნაწილი ჯერ კიდევ არ უნახავს მის მემკვიდრედ დარჩენილ მკითხველს.

დაუსრულებლად შეიძლება ვისაუბროთ ბატონი თამაზის ღვაწლზე, რადგან ჩვენ იმ პიროვნებას ვახსენებთ, რომლის ცხოვრებამაც ქვეყნის სამსახურში განვლო, თანაც უბრალოდ, უშუალოდ, გულიანად, ისე, როგორც დიდებულ ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე.

ულრმესი მადლობა იმ უდიდესი პატივისთვის, რასაც თამაზ წივწივაძის სახელობის პრემიის მონიჭება ჰქვია.

მადლობა ორგანიზატორებს, ჟიურის და საოცარ, უზომოდ სათნო ადამიანს, ბატონი თამაზის ღირსეულ დას და თანამებრძოლს, ქართული საბავშვო ლიტერატურის უდიდეს გულშემატკივარს, საუკუნოვანი ჟურნალ „დილის“ გადამრჩენელს ქალბატონ დოდო წივწივაძეს.

ასევე ვულოცავ სხვა ნომინაციებში გამარჯვებულებს, წარმატებებს ვუსურვებ მომავალ კონკურსანტებს და გაკვეთილად ვიტოვებ ბატონი თამაზის დარიგებას – „ფრთხილად, წინ მკითხველია!“ მკითხველი, რომელიც არასდროს გაპატიებს სიყალბეს და ზედაპირულობას.

**ნინო მზესელი**

# სიკეთის მსახური

როგორლაც ისე აეწყო, ვერცერთ ლიტერატურულ ჟურნალში ლექსები ვერ დავბეჭდე, მომისმენდნენ, შემპირდებოდნენ და ამით მთავრდებოდა ყველაფერი.

„ლიტერატურულ საქართველოში“ არ მივდიოდი, იქ მიტანას აზრი არა აქვსო, მეუბნებოდნენ, თამაზ წივწივაძის გაზეთში უცნობი ავტორის ლექსის დაბეჭდვა სასწაულის სფეროდანააო!

ერთ დღეს, გავბედე და მაინც მივედი. ლექსები ცხონებულ ბორენა ჯაჭვლიანს მაგიდაზე დავუდე. რამდენიმე იქვე წაიკითხა, მომეწონაო, მითხრა, რედაქტორს შეუტანეო.

შევედი. წამოდგა და შემომეგება. არ ვიცნობდი, პირველად შევხვდი. მძიმე კაცად შევიცანი, ვიფიქრე, ეს სიტყვაძუნწი და ცივი კაცი რაფერ წერს იუმორით გაჯერებულ იმ საოცარ წერილებს, მთელ ქვეყანას რომ ახარხარებს-მეთქი. შუბლი არ გაუხსნია, ლექსები ბორენასთან დატოვეო, მითხრა და გამომისტუმრა.

ჩამოვედი და საქალალდე ბორენას გადავეცი, მისი მომერიდა, თორემ პირდაპირ შინ წავიდოდი, ლექსებიანად, ვატყობდი, მორიგი ბიუროკრატიული სიუჟეტი ინასკვებოდა. ზუსტად მახსოვს, პარასკევი იყო, იმ დღეს გაზეთი გამოდიოდა. გამოვიხურე კარი და წამოვედი.

ზუსტად კვირის თავზე, პუშკინის სკვერში, კიოსკში „ლიტერატურული საქართველო“ ვიყიდე, გადავშალე და ჰოი, საოცრებავ, მთელი გვერდი არ უჭირავს ჩემს ლექსებს?!

იმ წუთას რედაქციაში გავქანდი, აწყობილი გაზეთი დაგვაშლევინაო, ბორენამ, ბესელიას ლექსების სასწრაფოდ გაშვება დაგვავალაო!

თამაზი სიყვარულით შემომეგება, შემაქო, დამსვა და დიდხანს მესაუბრა. გული გამითბა. იმ დღიდან „ლიტერატურულის“ ავტორი გავხდი, მერე, კარგა ხანს, ლექსები სხვაგან არ მიმიტანია...

ასე იქცა ის „უხეში“ და „მძიმე“ კაცი ჩემს საყვარელ თამაზ წივწივაძედ, რომელთან შესახვედრად მუდამ მიმიხაროდა...

ერთხელ, ერთ ცნობილ პერსონასთან შუამდგომლობა ვთხოვე. ჯერ დაურეკა, მერე წერილი მისწერა, მერე მანქანაში ჩამისვა და მიმყვა. ეს მაშინ იყო, როცა უკვე თავმჯდომარე გახლდათ. სასწაული თანადგომა იცოდა. ქვეყანას იცნობდა, ყველა მოწიწებით ეპყრობოდა.

რას ვიფიქრებდი, იმ პირველი პუბლიკაციის მერე, გავიდოდა ოცდაათი წელი, და მე თამაზ წივწივაძის სახელობის პრემიას მივიღებდი, თან პირველ ლაურეატთა შორის მოვხვდებოდი.

ნათელი დაადგეს!

იქიდანაც სიკეთეს ემსახურება!

ადრე წავიდა, როგორ ჭირდება დღეს მისი ბასრი კალამი ქვეყანას!

მადლობა ქალბატონ დოდოს, უკვდავებაში გადასული ძმების ერთადერთ ნებიერა დას, ქართული საქმის მკეთებელსა და ჩვენი ეროვნული კულტურის მარადიულ მოამაგეს!

**ვასილ ბესელია**

# სადღაც გინძეეწერთან თუ გუდავასთან, ანუ სულელი გელაია და მენავეები



გრიგოლ შონია

დეკემბრის სუსხიანი დღეებია, თუმცა მზიანი, როგორც ამ დროს აქაურობას სჩვევია – მზე ანათებს, მაგრამ არ ათბობს.

წინ უკიდეგანო, უნაპირო ზღვაა.

ჩვენი ზღვა, შავი ზღვა, კავკასიონთან ერთად ღმერთმა რომ გვარგუნა ქართველებს, ეს დამანგრეველი, დამთრგუნველი, გიგანტური ძალა, თანაც ერთდროულად ასე ლამაზი და შიშის მომგვრელიც, განსაკუთრებით პატარა მდინარის პირას გაზრდილი ბიჭისთვის.

ამჯერად ზღვა წყნარია და ლურჯად ბზინავს.

ბიჭებს თევზი უნდათ, თანაც ზუთხი, ქორწილისთვის.

ზღვაზე, ნეიტრალურ ზონასთან, სეინერი მოჩანს, თევზმჭერი სეინერი.

გელას ძალიან სჭირდება თევზი, თევზს კი რუსები იჭერენ და სეინერიდან ყიდიან, რუსი მეზღვაურები – ტრალშიკები, მეთევზეები.

– ჩვენც როგორ გვჭირდება სეინერი, – ფიქრობს გელა, მაგრამ, აბა, ფიქრით საქმეს რა ხეირი დაადგება.

გელა თავის განუყრელ მეგობრებთან ერთად არის – ზღვაზე გაზრდილები ზღვასთან არიან შეზრდილები. ზურა ძონენიძე – „ლობუტი"; ელდარ ვარდანია, იგივე „ხოსე", უმამოდ და ობლად დარჩენილი; ზურა ხუბუტია, გელას მეჯვარე, ვაჟკაცი ბიჭი მეტსახელის გარეშე – ვინ გაუბედავდა მეტსახელის შერქმევას, და ზაზა კიუტი – ყველაზე ახალგაზრდა, აფხაზი, კარგი ძმა, სპორტსმენი, სპორტის ოსტატი ნიჩბოსნობაში – ეს ოსტატობა დიდი შრომით მოიპოვა.

ხუთი მეგობარი, ხუთი თავგამოდებული ზღვაოსანი.

და მთავარი: მათ ნავი აქვთ, ორნიჩბიანი, ბრტყელძირა „კაზანკა", „პლოსკოდონკას" რომ ეძახიან, „ვიხრის" ძრავით, საწვავით გამართული.

ნავში ათი-თხუთმეტი ბოთლი ღვინოც მოიმარაგეს მეთევზეებისთვის და ორიოდე ბოთლი ჭაჭაც მოეპოვებათ, ერთიც სამაშველო ჟილეტი, წყალი კი არ მიაქვთ – მივალთ, ავიღებთ თევზს და გამოვბრუნდებითო.

მეთევზეებთან ადრეც ხშირად ყოფილან და ამინდიც მშვიდი ედგათ, თევზიც აულიათ და ყველაფერი კარგად დამთავრებულა.

„პრიმორსკში" – ზღვისპირას, გუდავასთან თუ გინძეეწერთან, უფრო კი გინძეეწერთან, იქვე გუდავასთან ჩასხდნენ ნავში და გაცურეს სეინერისკენ.

მიცურავენ მშვიდად, უხმაუროდ, ნიჩბებსაც ღონივრად უსვამენ.

იციან, ზღვაზე არაფერია მოულოდნელი, უფრო კი ზღვისგან ყველაფერი მოსალოდნელიაო. რატომღაც მის ზედაპირს ქაფი რომ მოეძალა, ბიჭებმა მაშინ ჩახედეს ერთმანეთს თვალებში, უკვირდათ ასე დილაადრიან დაწყნარებული ზღვის უცნაური აშლა, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ, ისე განაგრძეს ცურვა.

უკან მობრუნება არც უფიქრიათ, თევზის შოვნის სურვილი წინ, სეინერისკენ ეძალებოდათ; არადა, რომ მობრუნებულიყვნენ, ალბათ, აჯობებდა, – მართალია, თევზს ვერ იშოვიდნენ, მაგრამ უთევზოდ ქორწილი ხომ არ ჩაიშლებოდა.

ზღვის უკვე მოძალებულ ტალღებში განაგრძობენ ცურვას, მაგრამ სეინერამდე საკმაოდ შორია და გზას ასე იოლად ვერ მოილევენ.

ნიავმა რომ ჩაიქროლ-ჩაისისინა, მალე კი ქარმაც ჩაიგრიალა, ამას კი აღარ მოელოდნენ.

ზღვა თანდათან უფრო აიშალა, ტალღების სულ უფრო მეტად აიქოჩრნენ, მძლავრობენ, ცაც შავად იქუფრება.

– ნეტავ, რა ხდება, – ფიქრობს თავისთვის ყოველი მათგანი, ხმას კი არ იღებენ. ასეთ ამინდში ზღვის ასეთ მოულოდნელ ამობრუნებას არავინ ელოდა, წლის ამ დროს ხომ ეს არც არასოდეს ყოფილა მოსალოდნელი.

– ზღვა არ მომწონს, – ამბობს ლობუტი, ერთადერთი პროფესიონალი, გამოცდილი მეზღვაური, მაგრამ უკან მაინც არ ბრუნდებიან. ეს კი დიდი შეცდომაა, ჰგონიათ, რომ მოასწრებენ სეინერთან მისვლას, რაც მთავარია, თევზს იშოვიან და მშვიდობით დაბრუნდებიან.

ვერტმფრენი „დააჯდათ" თავზე – ეტყობა, ტალღები უშლიდა ხედვას, ნავი ვერ შენიშნა და ძალიან ახლოს ჩაუქროლა.

დაიბნენ ბიჭები. ისიც კი ვერ შეამჩნიეს, როგორ დაეკარგათ ნაპირი, სეინერიც გაქრა თვალსაწიერიდან.

მათ წინ მხოლოდ ტალღებია, ზვინებად რომ მოიწევენ ნავისკენ, რომ გადაყლაპონ.

უნდა გავუძლოთ – მაგრამ სადამდე!

შიშმა აიტანა მენავეები.

იმედად მხოლოდ ნიჩბებია. ზურა და გელა უსვამენ შეუსვენებლივ, თუმცა მძიმედ – გაჩერება არ შეიძლება, მართვის მიმართულება დაიკარგება და დაიღუპებიან უდავოდ.

აბობოქრებული ზღვის სივრცეში კი მოჩანს ნავის სილუეტი, ნავზე – ორი მენავე. დანარჩენები ნავის ფსკერზე წვანან, აღებინებენ. „ზღვის ავადმყოფობა", – ეს იცის გელამ, მაგრამ რას გააწყობს.

სიბნელე ჩამოწვა. „რა დრო გასულა", – ფიქრობს გელა და ყურზე ხელისგულს იფარებს. ზღვის ფსკერიდან ხმაური კი არა, გუგუნი ისმის. „ასეთი ხმა ადრე არასოდეს გამიგონია". მართლაც, წყლის სიღრმეში რაღაცა შავი ძალა ბორგავს, ზღვის უფსკრულებში კვნესის და კივის ვიღაცა, თითქოს დაბმული მხეცი აწყვეტას ლამობსო, ემუქრება ყველას და ყველაფერს.

„ნუთუ ეს დასასრულია?!"

არა!

გელა ასე არ ფიქრობს, მისთვის ასე არ უსწავლებიათ. და გელას თვალწინ დაუდგება ბაბუა და უმეორებს ლექსს, რომელსაც ასწავლიდა შვილიშვილს თავგანწირული ბრძოლის არდასავიწყებლად:

ზღვა ილუნს პოპორს ორთუ,
იხუმინუ გურმულირო...

გელა თითქოს გამოერკვა, თვალები მოჭუტა, გონებით შორეულ სივრცეებს მიწვდა.



– მომეცი ღვინო, კარგ გუნებაზე მაინც წავალ ამ ქვეყნიდან, – ამას კი არ მოელოდა გელა, თანაც ზურასგან, ის ხომ მათში ერთადერთი, მრავალჭირგამოვლილი მეზღვაური იყო.

შეუბღვირა და კიდევაც შეუღრინა და ღვინის ბოთლების მთელი შეკვრა დაუფიქრებლად, ძალუმად მოისროლა ზღვაში, რომელიც მალევე გაუჩინარდა ტალღებში. ზურამ უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი. გაბრაზდა გელა: „მაინც რატომ ჰგონია, რომ აქედან გამომსვლელები არა ვართ. კარგადაც გადავრჩებით". სჯეროდა, რომ გადარჩებოდნენ, მხოლოდ გაძლება იყო საჭირო, სწორი მოქმედება და ერთმანეთის იმედი.

ნავი დურალუმინისა იყო და მისი დამტვრევის საშიშროება არ ემუქრებოდათ. ნავის სწორად მართვით შეიძლება დიდხანს გაძლება, თანაც ზურა გამოცდილი მეზღვაურია, კარგად იცნობს ზღვას, მის დინებებს და არცთუ ცუდად ფლობს ასეთ ამღვრეულ ამინდსა და აშლილ ზღვაში ნავის მართვის წესებს.

მიდიან და მიაპობენ ზღვას. ნავი გაავებულ ტალღებს არ ეპუება. ნაპირი, უკვე დიდი ხანია, არ ჩანს, არც სეინერი; ცაც ნელ-ნელა იკარგებოდა აზვირთებულ ტალღებში.

ერთადერთი იმედი ნავია და... ზურა, რომელმაც გამოცდილებით იცის, აზვირთებულ ტალღებში როგორ იმართება ნავი, განკარგულებებს იძლევა; გელაც ცდილობს, ზურას ნათქვამით იმოქმედოს, ისეთი მიმართულება მისცეს ნავს, რომ არ გადაბრუნდეს.

დრო გადის. დღის შუქი გაილია, მხოლოდ ტალღათცემაა ირგვლივ.

ჩაქრა ძრავიც – საწვავი გამოილია. მარაგი არ წამოუღიათ, არ ეგონათ, თუ ასე დამძიმდებოდა ვითარება.

მეხი, ტყვაცი დო გურგინი,
ჟი მუნაფო კარკაზელი,
უჩათ ორე გოსურდილი,
ირ შურდგუმა ლუპუას ელუ,
დუდ აფუნა მუკორგილი
თე დროს ართი ხვამალდიქ
გორჩქინდ ზღვაშ პილაგონს
ამირანი სოფილ ჯაჭვით
წიმი მეურს წიმუჯონს
მარა ზღვა უნქილუანს
ამარ ოკურღვანს თოლს.

გელა ხედავს, როგორ მიუძღვება გმირი დასაღუპად განწირულ ნავს და როგორ გადაარჩენს მას.

მაშინ ბაბუა უხსნიდა, რომ „ჭიჭე ნიში" – ეს ჩვენა ვართ, ქართველები. არ დაგავიწყდეს, რომ ეს 24-ის აჯანყების წინა დღეებია, განწირულია ხალხი, მაგრამ იმედი არ დაუკარგავთ; ამირანი საქართველოა, მისი თავდადებული გმირები დაგლეჯილი ჯაჭვით წინ მიუძღვიან „ჭიჭე ნიშს" და გადარჩება საქართველო.

„ხომ გადავრჩებით", – წვალობს გელა და ნავის ფსკერზე დაყრილ უიმედო მეგობრებს შეავლებს თვალს, ზური კი გააფთრებულ ზღვას არ ეპუება. „ზურა ზღვაზე ნაკლები ლომი როდია", – ფიქრობს გელა და იმედით შესცქერის, უკუნ ღამეშიც აშკარად ხედავს მის ფოლადივით ჩამოსხმულ სახეს

გელას სულ უფიქრია და პასუხი ვერ ეპოვა: მაინც რისი იმედით იწყებდნენ აჯანყებას ეს ერთი მუჭა ქართველები. „იმედია ყველაფერი", – სჯერა გელას, – „იმედი, მაგრამ რისი?!"

მთელი ღამე უსვამენ ნიჩბებს აუჩქარებლად და მძიმედ, ხელისგულები დაუსკდათ, გელა ცხვირსახოცს იხვევს ხელზე და ნიჩაბს ჩაჭიდებული არ ჩერდება – გაჩერება არ შეიძლება, გაჩერება დაღუპვაა. გაძლებაზე არიან დილის მოლოდინში.

ზურა ამბობს, დილისთვის ეს სიბობოქრე მორჩება და გვეშველებაო. ამბობს და სჯერა – ეს მისი სიმართლეა და იმიტომ.

იმედით არიან, იმედი არ დაუკარგავთ.

აი, დადგა ისიც, ნანატრი დილა, მაგრამ რომ არ დაწყნარდა ზღვა – ეს გაავებული ვეშაპი.

საშველი არ ჩანს.

ნავზე სამაშველო ჟილეტი მხოლოდ ერთია. ვიღაცა ერთს უნდა მოარგონ. ჟილეტს გელას უთმობენ – უცოლშვილომ ძლივს გადაწყვიტა დაოჯახება და რამენაირად უნდა გადარჩესო.

გელა ჟილეტს იღებს და ზურა კიუტს აწვდის, ყველაზე უმცროსს, როგორც ეძახდნენ – აფხაზ ძმას, თანშეზრდილს. – ეს შენ გეკუთვნის, – ეტყვის გელა და ჩახედავს თვალებში. – ეს შენ უნდა გადარჩე ყველა ჩვენგანისთვის. – კიუტიც მიაპყრობს თვალებს. არ მოსწონს ეს გადაწყვეტილება, მაგრამ გელას შემოხედვაზე, მის მზერაში აშკარად ამოიკითხავს უარის თქმის უაზრობას, გამოწვდილ ჟილეტს იღებს, რომელმაც შეიძლება მართლა გადაარჩინოს, მაგრამ ზედ არც შეხედავს, უსიტყვოდ აღმართავს თავს ზემოთ, ძალუმად მოიქნევს და ზღვაში გადაუძახებს. – ჩვენ ერთად ვართ, ერთნი ვართ. დანარჩენს ღმერთი გადაწყვეტს, – გაბუტული ბავშვივით ჩაიბურტყუნებს აფხაზი.

– ეს რა ქენი, ბიჭო! – თითქოს თავის თავს შესძახებს გელა. ბრაზობს აფხაზი ბიჭის საქციელის გამო. დაენანა კიუტი, რომელსაც თავი ისე უჭირავს, თითქოს არც არაფერი მომხდარაო – ასეთ გადარჩენას სიკვდილი უჯობს.

მეორე დღეა, არ ისვენებს ზღვა, ღრიალებს, თავზე ენგრევათ ქვეყანა.

ქალაქი კი შეწუხებულია – ეძებს ყველა: ზღვაში, ნაპირზე, ჰაერიდან, ხაზზე არიან გამოსული სამინისტროები, დეპარტამენტები, მაგრამ სანუგეშო არაფერია.

ზღვის გულიდან შემაძრწუნებელი გრუხუნი არ წყდება, ყოვლის დამთრგუნველი ბრაზიანი და ავისმთქმელი ხმაური მოხეთქავს სიღრმიდან და თავისკენ ეძალება ყველას და ყველაფერს, შთანთქმით იმუქრება, არ წყდება მისი ღმუილი.

ირგვლივ კი სიბნელეა და ბნელა, ღამესავით ბნელი დღე დამდგარა.

ამ სიბნელეში – პატარა ნავი.

და ნავში ხუთი ხელაღებული, განწირული ბიჭი.

დაღლილ-დაქანცულნი უსვამენ ნიჩბებს, იციან, ამაშია გადარჩენა.

უსვამენ ისე, თავის უნებურად – ჯერ ერთი, შემდეგ მეორე, ენაცვლებიან ერთმანეთს.

გადარჩენა!

აი, რა არის მთავარი!

და გელა კი არ ფიქრობს, ძალაუნებურად უსვამს ნიჩაბს, უსვამს ნელა, აუჩქარებლად, მძიმედ.

შთანმთქმელი გუგუნი ძლიერდება. გელა გაკვირვებულია – რატომ შიში არ ეკარება?! თანაც ამისთანა განსაცდელის ჟამს, ამ ბრაზიანი ზღვის წინაშე. და გელა უფრო ბრაზიანია, ხელების ჩამოყრაზე არც ფიქრობს, გულში არ ივლებს. ყველაფერი ისე, ძალაუნებურად ხდება, თითქოს ვალის მოსახდელად.

გადარჩენა!

აი, რა არის მთავარი.

მაგრამ ამაზე კი არ ფიქრობს, უბრალოდ, ნიჩაბს უსვამს, არ ჩერდება.

ზღვა კი ბობოქრობს, ტალღა ტალღას მოჰყვება. უფსკრულიდან განწირული ღრიალი, წივილი თუ კივილი არ წყდება, თავისკენ, ჩასანთქმელად უხმობს მენავეებს.

და აი, უცებ ყველაფერი ჩაცხრა. სიჩუმემ დაისადგურა და ამ სიჩუმემ უფრო ააფორიაქა მენავეები. „უბედურების მომასწავებელი ხომ არ არის ეს შობელძაღლი", – ისევ გაუელვა თავში გელას და კინაღამ შექანდა, როდესაც დაინახა, რომ არცთუ ისე შორს უზარმაზარი ტალღა ამოიზიდა ზღვის მთელ სიგრძე-სიგანეზე, ხმაურით და ზათქით მოედო მთელ სივრცეს და ნავისკენ წამოვიდა. „შთანთქმას გვიპირებს თავის ამოუვსებ ხახაში", – გაბრაზებულია გელა. ასეთი გოლიათური ტალღები ზღვაზე გაზრდილ კაცს ადრე არც უნახავს. საშიშროება ბიჭებმაც შენიშნეს და გაილურსნენ. გადარჩენის იმედი არსაიდანაა.

ისლა დარჩენოდათ, პირისპირ შეეხედათ ამ ამოუცნობი, დაუძლეველი ძალისთვის, რომელიც რალაცა წამებში მათ ნავს დაამსხვრევდა და უფსკრულში ჩაითრევდა.

„ნუთუ ღმერთი გაგვწირავს", გაიფიქრა ელამ და მოუხმო იმ ღმერთს, რომელსაც არასოდეს წყალობდა. არამცთუ ლოცვა, პირჯვრის გადაწერაც არ ემეტებოდა. „ჩემი ბრალია, ჩემი, ყველაფერი! რა შუაშია ბებია, კომუნისტი ბებია (გელა მასთან იზრდებოდა), რომელსაც უბრალოდ არ სჯეროდა ღმერთის არსებობის, მაგრამ ის ხომ არ გვეუბნებოდა, არ ილოცოთ, ღმერთი არ გწამდეთო.

თურმე უნდა მელოცა. ეს მე არ გავულე ღმერთს გულის კარი, ეს მე ვარ დამნაშავე, ამ დღეში რომ აღმოვჩნდით. ცოდვილი დავდიოდი ამქვეყნად.

ღმერთო, მაპატიე, შემინდე ცოდვები. ოღონდ ახლა გადამარჩინე და ნახავ, ამის შემდეგ როგორი ერთგული ვიქნები შენი. გევედრები, ღმერთო, ახლა გადაგვარჩინე მეც, ჩვენი ნავი და მენავეები, – ამოხდა გელას გულის სიღრმიდან ისეთი ძალით, რომ არც ეგონა, ასეთი ძალით მონანიება და პატიების თხოვნა თუ შეიძლებოდა. ის ლოცულობდა, ოღონდ გულში, თავის სამყაროში (სხვა რაღა დარჩენოდა).

ღმერთო, გვიშველე, კი არ ბუტბუტებდა, ხმამაღლა წარმოთქვამდა უკვე განწირული გელა და მოახლოებულ ბობოქარ ტალღებს კი არა, ქვეყნის დასასრულს შეჰყურებდა და ემზადებოდა რაღაცა შეუცნობლისთვის, ბოლო წამისთვის. და ჰოი, საკვირველებავ, თითქოს ლოცვას უსმინაო, უეცრად ტალღამ სიმაღლე დაკარგა, ერთ ადგილზე გაჩერდა, მერე კი უკიდეგანო, უძირო უფსკრულში ჩაიკარგა.

მენავეთა წინ შავი ზღვის ლურჯი ტალღები ალივლივდნენ.

ნუთუ გადავრჩით... მაგრამ რა იყო ეს.

და რა შუაშია აქ ღმერთი, – ძალ-ღონე მოემატა გელას, გაეცინა კიდევაც, ღმერთს რომ ევედრებოდა. უაზრობად ეჩვენა და თავი ცრურწმენაში დაადანაშაულა (ასე ასწავლიდნენ სკოლაში). ოდნავ მოუშვა ხელი ნიჩბებს, შესვენება მოუნდა.

მაგრამ, ოი, საოცრებავ, ამის გაფიქრება და... აშკარად იგრძნო, როგორ შექანდა ქვეყანა, არც ისე შორს ახალი, უფრო მძლავრი ტალღები ამოიზიდნენ ზღვის უფსკრულებიდან და გრუხუნით წამოვიდნენ ნავისა და მენავეების ჩასანთქმელად.

გელა მიხვდა, რომ შავ ტალღასთან ერთად ახლოვდებოდა დასასრული. დაუძლეველი ძალა მოდიოდა მისკენ, ბრაზმორეული, ნავს კი არა, მთელ ქვეყნიერებას რომ უქადდა ჩანთქმას თავისი სტომაქის უძირო სიღრმეებში.

„მაინც ეს რამ გამავლებინა გულში; ვაწყენინე ჩემს გადამრჩენელს...

ღმერთო, ნუთუ შენ სულელ გელაიას უსმენ, – გელამ ნავის ფსკერზე ჩაიმუხლა. – ისმინე ვედრება ჩემი, ოღონდ ახლა გადამარჩინე. ეს მე ვარ, შენი გელაია, საწყალი სულელი გელაია. ეს მე ვარ დამნაშავე. მაინც რატომ დავაყვედრე, რატომ გავივლე გულში, რატომ გავწირე ჩემი მეგობრები, რატომ! რატომ!"

და უცებ სამყარო გაშეშდა. გრიგალი ჩადგა, ბუმბერაზი ტალღები, თითქოს სულ ასე ყოფილიყოს, სადღაც შორს გადაიკარგნენ, გაქრნენ.

გადავრჩით!

„გმადლობ, რომ ხარ, ღმერთო", – გულში აღავლინა „სულელმა გელაიამ". ძალა მოემატა, ნიჩბები გამართა და მთელი ძალით მოუსვა.

ეს უკვე გადარჩენაა! – ირწმუნა გელამ.

მალე ღამე ისადგურებს და სიბნელე იპყრობს თვალთახედვას.

კომპასი მაინც გვქონდეს. ნაპირიც კი არ ვიცით, საითაა. ნეტავ, რაიმე ნიშანი მოგვცენ. თუმცა რა, ალბათ, ყველას გადაეწურა იმედი, ყველამ ჩაიქნია ჩვენზე ხელი.

არა, ახლა მთავარია, რომ გადავრჩეთ.

როგორ ენანებოდა, რომ ტოვებდა ამქვეყანას, ენანებოდა ჯერ ბიჭები და მერე საკუთარი თავი; ნავიც, რომელიც ლამის კუბოდ იქცა, ზღვა კი სასაფლაოდ.

ღია ზღვაში არიან, მერე როგორია ღია ზღვაში ყოფნა ამ პატარა ნავით და ასეთ ამინდში, ვერ გაიგებს, ვისაც არ გამოუცდია.

გარშემო – თვალუწვდენელი სივრცე და სიავის მაუწყებელი, ქაფმორეული ტალღები.

ოხ, ეს ქარიშხალი და ადამიანის თავხედობა როგორ უძლებენ ერთად ყოფნას.

უსასრულო და მოსწორებულია ზღვა.

მერე რა, რომ მთვარე არ ანათებს, არც სეინერია სადმე და არც მშველელი ჩანს...

...ჯერ ხომ ცოცხალი ვარ, ცოცხლები არიან ჩემი მეგობრები, ცოცხალია ჩვენი ნავიც.

ამასობაში მეორე ღამეც იწურება. ბუნებაც თითქოსდა წყნარდებაო, ძალაგამოლეულია, მაგრამ ნიჩბებს მაინც უსვამენ (თუ ამას მოსმა ჰქვია, ამბობს ზური, ეს ძველი მეზღვაური).

დროც დაიკარგა და მიმართულება ხომ, რა ხანია, დაკარგეს.

ჩამომდგარი ნისლიც ყველას და ყველაფერს ფარავს.

და ამ დროს იგრძნეს, თითქოსდა რაღაცას დაეჯახნენ.

„ბიჭო, მგონი, მიწაა!" – წამოიძახა რომელიღაცამ; წამოიშალნენ, წელში გაიმართნენ.

კი, ნამდვილად ნაპირი იყო. დილის რიჟრაჟზე შორს მთების სილუეტები მოჩანდა.

გადმოვიდნენ ნავიდან. მორბის ხალხი.

– სადა ვართ?

– კინდღია, – ისმის ერთმანეთში არეული მეგრული და აფხაზური; ეს ხომ ის დრო იყო, როცა ყველა ერთად ვიყავით და ერთმანეთზე ვზრუნავდით.

– მაშ, გადავრჩენილვართ, – მაინც როგორ დაიჯერა გელამ, რომ გადარჩებოდნენ.

ამიტომაც გაუცნობიერებლად უსვამდა ნიჩაბს – გადარჩენაზე კი არ ფიქრობდა, უბრალოდ, იცოდა, რომ ნიჩბის მოსმაშია აზრი და არამარტო, რადგან არ შეიძლებოდა ეს ახალგაზრდები ღმერთს სასიკვდილოდ გაემეტებინა.



**არტემ გრეგორენცი** *(არტემ კირაკოზოვი) დაიბადა ქ. თბილისში 1948 წლის 1 იანვარს. დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტი. სტუდენტობის პერიოდში ჩართული იყო ინსტიტუტის თვითშემოქმედებით, ფართოდ ცნობილ ჯაზ- ორკესტრში, ამის შემდგომ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მიიღო განათლება. მუშაობდა ინჟინრად ჩარხმშენებელ ქარხანაში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში; პარალელურად მოღვაწეობდა სხვადასხვა მუსიკალურ კოლექტივებში – შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის ორკესტრში, სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში. ათი წელი მუსიკოსად მსახურობდა ქართულ ჯარში. აქტიურმა ყოფამ ბიძგი მისცა, ლიტერატურაში გამოეცადა თავისი შესაძლებლობები. აპირებს, ქართულ ენაზე წიგნად გამოსცეს თავისი ქალაქური მოთხრობები.*

# არტემ გრიგორენცი

## ქალაქური მოთხრობები

### რაფიკა

საზაფხულო არდადეგების მოახლოებისთანავე მშობლებმა ისევ საბავშვო სანატორიუმში დამიპირეს გაგზავნა. ამის გამო ავჯანყდი: „სანატორიუმი არა! პიონერთა ბანაკში მინდა!"



ნატვრა ამისრულდა: მამაჩემმა პიონერთა ბანაკის საგზური მოიტანა. საოცარ საკურორტო ადგილას, ჯავაში...

რიგითი პიონერებისგან განსხვავებით, რომლებიც ბრეზენტის ჩახუთულ კარვებში ცხოვრობდნენ, მუსიკოსებს გაცილებით უკეთესი პირობები ჰქონდათ. საერთოდ, ნორჩი მუსიკოსებიც კი, მითუმეტეს, „პირველი ხმები" რიგით პიონერებს ზემოდან დაგვყურებდნენ, ჩვენთან ლაპარაკსაც არ კადრულობდნენ, მაგრამ რამდენიმე მათგანი სიამოვნებით გვეურთიერთებოდა. მათ შორის ბიჭუნა, რომელსაც რაფიკა ერქვა. იმის მიუხედავად, რომ ის საყვირზე პირველ ხმას უკრავდა, ცხვირაწეული არასდროს მინახავს.

ბედისწერამ ისევ შემახვედრა რაფიკას 1965 წელს, როცა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დავიწყე სწავლა. ჩემ ჯგუფში აღმოჩნდა სიმპათიური ახალგაზრდა, ვოვა გრიადუნოვი, რომელიც იმავდროულად პირველი მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტიც იყო, იმ დროისთვის ენგელსის ქუჩაზე მდებარეობდა. თურმე ვოვა იქ რაფიკასთან ერთად პედაგოგ ოთარ ქუთათელაძის საყვირის კლასში სწავლობდა.

ერთ მშვენიერ საღამოს, „გეპეიში" ლექციების დამთავრების შემდეგ, მე და ვოვამ რუსთაველის გამზირზე გავისეირნეთ, ვოვას გაახსენდა რაფოს ნათქვამი, რომ მათ ოჯახში თურმე პურმარილი იმართებოდა. სიამაყით დასძინა: „რაფოს ოჯახში სიხარულით მხვდებიან!.." შემომთავაზა, არ იქნება უტაქტობა, თუ დღეს ოჯახურ „ღვინისძიებაზე" ვეწვეოდით.

– რა თქმა უნდა, წავიდეთ! – წელში გავიმართე, ვიფიქრე, ძველ თბილისურ ოჯახში, სუფრაზე გემრიელი კერძები დამხვდებოდა...

ვოვამ შემიყვანა ვიწრო, ბნელ ეზოში. კარი ხანდაზმულმა ქალბატონმა გაგვიღო და შინ შეგვიპატიჟა. დერეფანში, ჩვენი პალტოებისთვის საკიდზე იმ წამშივე ადგილი გაათავისუფლა. როდესაც სამოსს ვიხდიდი, დერეფნის ბოლოს, დიდი ჭაღით განათებულ ოთახში გრძელი სუფრა დავინახე. მაგიდაზე, მაღალ შანდლებში დიდი სანთლები დაენთოთ. „რა ხდება, – გავიფიქრე, – ნუთუ მათ განათება დააკლდათ?" კიდევ დავინახე სუფრასთან მსხდომ მამაკაცებს სხვადასხვანაირი ქუდები ეხურათ. ვიღაცას – კეპი, ვიღაცას – სვანური ქუდი, ზოგს – ფაფახი... „რა ხდება იმ ოთახში? – დაბნეულად გავიხედე ვოვასკენ. ნოემბრის ბოლო იყო. შესამჩნევად აცივდა, და ახალგაზრდების უმეტესობა მაინც უქუდოდ დადიოდა, – რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?!" ისიც დაიბნა. ამოვიღე სავარცხელი და დროის გასაყვანად თმის მოწესრიგებას შევუდექი. ვოვაც ჩემნაირად მოიქცა. მომღიმარ ქალბატონს რაფიკაზე ვკითხეთ.

– სარდაფშია, დოქებში ღვინოს ასხამს... თქვენ მობრძანდით სუფრასთან!

– მობრძანდით!.. – სხვებმაც შეგვიპატიჟეს, – რაფიკა ამ წუთშივე ამოვა!

მართლაც, გამოჩნდა ჩვენი მეგობარი, ხელში ორი დიდი დოქი ეკავა. თავზეც არაფერი ეხურა. თავისუფლად ამოვისუნთქეთ. როცა თამადამ შესვენება გამოაცხადა და ჩვენ სიგარეტის მოსაწევად ეზოში გავედით, რაფიკამ თავისი უფროსი ძმა, ჰერცელი გაგვაცნო. ის იმხანად ქალაქ პერმიდან ჩამოსულიყო, იქ ინსტიტუტში სწავლობდა. მას ახლდა თანაჯგუფელი, რომლის კეფას ფინჯნის ზომის ხელა „ტუბეტეიკა" ამშვენებდა. შემდგომში გავიგე, ტრადიციული ებრაული „კიპა" ყოფილა.

საინტერესოა, თავად ახსოვს თუ არა რაფიკას ჩვენი ვიზიტი ოჯახში, რომლის მერეც, თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა?

ის სულ სულ მალე ოჯახით ისრაელში გადასახლდა და მის შესახებ აღარაფერი მსმენია. ვოვა კი ძლიერი მესაყვირე გახდა და კიევის მიუზიკ-ჰოლში მიიწვიეს სამუშაოდ, ინსტიტუტში სწავლასაც თავი დაანება. მოგვიანებით, სამწუხარო ამბავი გავიგეთ, რაფიკას ძმა ჰერცელი არაბების წინააღმდეგ ომში დაღუპულა, მაგრამ, საბედნიეროდ, არც ეს ამბავი აღმოჩნდა სიმართლე. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ინტერნეტის მეშვეობით, ნიუ-იორკში მცხოვრები თბილისელი ქართველი ებრაელის, სიმონ კრიხელისგან შევიტყვე, ჰერცელის დაღუპვა სუკის გამოგონილი ჭორი ყოფილა. ჰერცელი ამჟამად აღიარებული არქიტექტორია. რაფიკაც წარმატებული მხატვარი, თავს კარგად გრძნობს და შვილიშვილებს უვლის. განსხვავება ისაა, რომ ახლა მისი სახელი რაფიკა კი არა ეფრაიმია. გვარიც ახლახან გავიგე, ისევე, როგორც ათადან-ბაბადან ნამდვილ თბილისელებს სჩვევიათ. მთავარია, პატიოსანი იყოს კაცი, შემდგარი პიროვნება და „ჯიგარი!" სულ რამდენიმე დღის წინ, სკაიპით ვესაუბრე რაფიკს, უკაცრავად, ეფრაიმს. ტკბილად გავიხსენეთ ახალგაზრდობის წლები. ვოვაც ვახსენეთ. საცხოვრებლად ამერიკაში გადასულა, მაგრამ იქ ვერ გაუხარია. ვაჟიშვილი ნარკოტიკებს გადაჰყოლია, ვოვას შვილის დაღუპვა ვერ მოუნელებია, ინსულტმა მოუღო ბოლო.

### კარალიოკები

– ყველა მასწავლებელი უკმაყოფილოა თქვენით! რატომ ხართ ასეთი გულგრილი საგნების მიმართ?. ნუთუ არაფერი გაინტერესებთ?! ეჰ, ჩემი ნება რომ იყოს, დღესვე გაგამწესებდით ჯარში, იქ მაინც ისწავლიდით ჭკუას!.. – სკოლის უკანა ეზოში ტუქსავდა მეათეკლასელებს ფიზკულტურის მასწავლებელი ბატონი ლეო...



ბატონმა ლეომ, რომელსაც საპენსიო ასაკამდე ბევრი აღარ აკლდა, – ხილით მოვაჭრეებს გახედა და არჩევანი კარალიოკებზე შეაჩერა. ხილს ძვირად აფასებდნენ. თუმცა რა იყო გასაკვირი? ისინი ხომ გადამყიდველები იყვნენ. „რა ჭირად მინდა ფიზკულტურის ინსტიტუტის დიპლომი, თუ ამათი ერთი კვირის მოგება ჩემი ერთი თვის ხელფასს აჭარბებს? ამ ფიქრებში მყოფი მასწავლებლის წინ გაჩნდა შუახნის დედაკაცი, ლურჯ-ყვითლად აჭრელებული კაბით, თავზე შემოხვეული მუქი ნარინჯისფერი შალით, თბილი ღიმილითა და რბილი, აზერბაიჯანული აქცენტით:

– კარალიოკი იყიდე „აი-ბრატ", სულ იაფად! – მიმართა მასწავლებელს და ამასობაში – რვა კილო – სამი ლარი! გეუბნები, სულ მუქთად, ჩემ ბაღში მოვკრიფე! „მართლაც იაფად მთავაზობს, – გულში დაეთანხმა ბატონი ლეო, – ალბათ, ხურმას მთავაზობს...". ქალმა გამოიცნო მასწავლებლის ფიქრი. მაშინვე თავის გამართლება დაიწყო: – აი, შეხედე, ნამდვილი, ნაღდი კარალიოკია! ნახე, ნახე! – ქალმა სათლი მიწაზე დადგა, აიღო ნაყოფი, კანი გადააცალა და კარალიოკის ბუნებრივი ფერი გამოაჩინა.

– დიახ, დიახ, მჯერა! – დაეთანხმა ლეო და ფართო ცელოფნის პარკი გაშალა. ქალმა ჯიბიდან ძველი მოდელის სასწორი – „ბეზმენტი" ამოიღო.

– ეგ სასწორი, შემთხვევით, შენს სასარგებლოდ ხომ არ ტყუის? – მკაცრი ტონით ჰკითხა მასწავლებელმა. ზოგიერთი გარემოვაჭრე ეშმაკურად ახერხებს მოტყუებას, რომ წონის ერთ მესამედსაც დაგაკლებს.

– არა, არა! რას ამბობ!.. ალლაჰს გეფიცები! – წამოიძახა ქალმა ისე გულწრფელად, რომ დაეჭვება გამორიცხული იყო. შემდეგ თქვა, რომ მამა ბავშვობიდან მას და მის დედმამიშვილებს უხსნიდა, რომ ვაჭრობაში მოდის ყველანაირი მოტყუება, მაგრამ წონაში ვირეშმაკობა უდიდესი ცოდვაა. „სასწორი – უფლის მოწყობილობაა! იმ ქვეყნად ალლაჰი სასწორით წონის ადამიანის საერთო ცოდვების სიმძიმეს, შემდეგ წყვეტს, რას იმსახურებს ეს პიროვნება, სამოთხეს თუ ჯოჯოხეთს! მხოლოდ ინტერესის გამო აწონა ლეომ ნაყიდი კარალიოკები. ზუსტი წონა კი არა, ოდნავ მეტიც აღმოჩნდა, მაგრამ სათლის ფსკერში ხურმაც ეყარა. თუმცა, ეს ლეოს არ ადარდებდა. „ბოლოს და ბოლოს, წვნიანი, დამწიფებული ხურმა გაცილებით გემრიელია, ვიდრე კარალიოკი". მასწავლებელმა გაიფიქრა: „მთავარია, მოთმინება! დამწიფების საშუალება მისცე ხურმებს".

**მხატვარი იაგო ნიკოლაძე**



ჩვენს შესანიშნავ პოეტსა და ლიტერატორს, „ლიტერატურული საქართველოს" ერთგულ ავტორსა და მკითხველს, ქალბატონ ცირა შალაშვილს ვულოცავთ იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და შემოქმედებით წარმატებებს.

# ცირა შალაშვილი

## 12 (მ)ცირულა და ა.შ.

***
ჩემს გაჩენამდე
გადაწყვიტეს
სუყველაფერი –
სხეული – მიწას,
სული – ზეცას,
მე – არაფერი!

***
სულ მარტოა ცა,
ამ ზამთრისპირზე,
სულ მთლად მარტოა,
აივნის სვეტზე მიყრდნობილი
დედაჩემივით...

***
თუ არც აბელად,
არცა ქრისტედ,
არცა იობად! –
რაღას ესწრაფვის
ასე ჟინით,
ასე ველურად,
ეს – დედაკაცის
ფეხებშუა გამომძვრალი
კაცობრიობა!

***
ტყუპისცალები გეგონება
კვირის 7 დღე,
უარაფრობით
ისე ჰგვანან
ერთიმეორეს...

***
ამაოებდა
პოეტის ფუნჯი...
სუფევდა ჟამი,
ბრმა და
ყრუ-მუნჯი...

***
კარგა ხანია, ავუკრძალე
ჩემს თავს სიცილი...
უსამშობლოდ ვარ
სამშობლოში –
რა მეცინება!

***
ვზი, როგორც სიტყვა,
მრავალტომეულის საპყრობილეში
დათმენილი მარადისობით...

***
ლოცვის იმედზე მიბმული ცოდვა
ბაწარს ჟამი-ჟამ
იშორიშორებს...

## თავყრილობა

არ ილლებიან
ერთმანეთის
ქება-მოსმენით
ადგილობრივი მნიშვნელობის
გენიოსები...

***
ქვეყანიდან
დაგვრჩა – ქვე!
ყანა – თხებმა
შეჭა-მეეს!

***
ჩავლილ წყალს
უკან
ვინ მოაბრუნებს! –
ვილას ახსოვს,
ვინ დაარწყულა!

***
დრომ არაფრისგან
შემიკერა შესამოსელი
და წუთისოფლის პოდიუმზე
აწყობს ჩვენებას...

## ღრუბლის წერო

ამაოების თალხი სურნელით ყვავილობს ყოფის წამი და წუთი.
იქნებ, ვინმეა, მზით მოიმედე, ჟამი რომ ნებით მიაგებს კუთვნილს?
ჩამოიფერფლნენ ნამცეც და ნამცეც დღე-ღამეები, სულ თითო-თითოდ...
და, მე კი არა და ჩვენ კი არა, დროს აღარ დარჩა დრო – სათავისო!
ვერ დავიჩემებ – ხარობს საწუთრო ახალ-ახალი მიმსვლელ-მომსვლელით,
ვინღა შემოსა ნეტავ ეს ხანა ამაოების შესამოსელით.
სულ აქვე ახლოს, ლოცვის ხელისგულს, მადლი რომ ნაკვერჩხალივით ენთო,
სად დაიკარგა უგზო-უკვალოდ, ლურჯი ბილიკი საერთმანეთო.
ან – სიყვარულის კენტი მუდმივა, ისევ და ისევ, ვის და რას ეძებს,
მარადიულობს მშიერი შური და უშურველად ვერა და ვერ ძლებს...
თვითონ ადამიანმა იბოძა, ადამიანმა თავისთვის მეტისმეტი უფლება,
სურვილებს ისე დაუმორჩილა ჟამის სუფევა და მეუფება...
მგონი, არც იცის, მისივე ნებით, საკუთარ თავში, ღვთის სულს რომ ჩაგრავს
და რაც დრო გადის, მის ხატად შექმნილს უფრო და უფრო არა და არ ჰგავს!
ვინ გამოიყვანს, ნეტავ, საწუთროს, სხეულგანცხრომის მცხრალი ზონიდან,
„გვირგვინოსანი" და უხილავი წუხელ სასწორით ჟამს მიწონიდა...
არ გიკვირთ, რატომ ეადვილება პირს უამური ბგერების ნთხევა?
გზისპირს მიჰყვება ლურჯი საკმელა, იქნებ სულია, ან იქნებ – მე ვარ!...
და გულგრილობის გლერტა ბალახმა რომ გადამფარა მძლევი კლანჭებით.
ვერაფერს მშველის მიზეზთა ახსნა, ველარც წნევის და სიცხის დამწევით
და თუ ეს კაცი შენი ხატია, მისგან დაიწყო სამყაროს ათვლა, —
ღმერთო, ეს უკვე მეტისმეტია, მეტისმეტია, მართლა და მართლა!
რა ერჩით ევას!
ან – რომელ თქვენგანს არ უგემნია კრძალული ხილი!
წყალს ეზიდება საწუთისოფლო, ჟამგახვრეტილი ედემის ცხრილით...
რას ვამბობ ახალს! რა უნდა გითხრათ, გალაღებულთ და ჯილდორიცხოვნებს,
აღარ მესროდით ქვასა და ტალახს, სულ ცოტა ახლოს რომ გამიცნობდეთ!
ვის ვსაყვედურობთ, საჩვენო ჟამი, ვერც კი გავიგეთ, როგორ გავიდა!
იქნება, ღმერთი, ბოლოს და ბოლოს, სამყაროს შექმნას იწყებს თავიდან
და რომ გაბერნდა სრულად ეს მყარი, გამოიფიტა სულით და ხორცით,
თითქოს, იმავეს არა ფიქრობდეთ, ისე შეკრთით და ისე გაოცდით!

რა კარგიაო – მითხრა ვიღაცამ, ამ წუთისოფელს ისე უხდები...
ნეტავ, როგორი იყავ, მიწაო, მზერამცხუნვარი და ხელუხლები!
სიცოცხლის ჟინით გაუძლომელი, ნათლისმფრქვეველი და მადლმომფენი...
როგორ მი/ადოდა, წუთისოფელო, ვყოფილიყავი შენი სწორფერი!
ერთმანეც ს რომ არ ეშველებოდნენ წისქვილის ქვები, მადლსაკვირველნი,
რამდენი ჯ უნდა იბრუნოს ცალმა – არც არა – ქატო, არც არა – ფქვილი...

მომიჩურჩულეს – ყაყაჩოს, წუხელ, სულ უმიზეზოდ ჰქონდაო სიცხე!
ალეწილი აქვს ლოყები მინდორს, გადაურბინეს და მიივიწყეს...
საიდან იწვევს შრიალით ქარი ბგერების ექოს, იერიქონის,
ასე მორბოდა, მთლად ფეხშიშველი, შენკენ მწყურვალი ჩემი სტრიქონი,
ზღვას უხაროდა მისი კისკისი და მონატრებულ მკლავებს მიშლიდა,
ეჭვს ვეკითხები – ეს მართლა იყო თუ ხილვებია სადღაც, ნისლიდან...

ხსოვნის ყუდროზე თავმიყრდნობილი მზერას ვაყოლებ ღრუბლის წეროებს,
გზა აბნევია სიტყვებში ბილიკს, შეუცნობელად საბედისწერო..
მომწყვდეული ვარ ოდა-სახლივით მინა-ბეტონის ცათამბჯენებში,
ამპარტავნულად რომ დამყურებენ, ვითომ მეტნი და ვითომ ბრძენები
და სჯერათ კიდეც, სრულად მაღლობენ, ყოველთა ზედა – მიწიდან ცამდე
და არ იციან, ან აღარ ახსოვთ, მათ გაჩენამდე, ეს უკვე სცადეს!
და ყოველივე მოაქჟამამდე სულ მეორდება და მეორდება
და რომ გგონია, უახლოვდები, ცა კიდევ უფრო მეტად გშორდება
და სიმაღლეზე ყოფნა, სრულებით, არც აღდგომაა, არც ამაღლება,
მიუხედავად იმისა, ვიღაც სივრცეს იჩემებს და იქ სახლდება.

მე ცა მახურავს, ჭერის მაგივრად, და მზის სარკმელიც ისაა ჩემთვის,
წვიმის და თოვლის მოსაფერები ლოცვა, იქნება, აქამდე ვერც ვთქვი,
ქარს კი არც დღეს სურს თავშესაფარი, ის – მაინც, მართლა არავის არ ჰგავს,
წუთისოფელშიც ისაა შენი, რაც თანვე გახლავს და ვერ დაკარგავ...

გავლით დავლანდე, ისხდნენ სუფრასთან ხვლიკები, მათი მსგავსი მრავალით
და ტრაბახობდნენ – ჩვენ ვართო, რაც ვართ – დინოზავრების შთამომავალნი...
რა შუაშია სარკე – სარკაზმთან, ან – აბდაუბდა – აბუდაბისთან!
უფსკერო უფსკრულს ღია აქვს ხახა, სულ არ სჭირდება გაშლა ბადისა,
როგორც იოტა, საიქიოდან, ვაზის პწკალივით დაეძებ საყრდენს,
ნათელს სურვილით რომ მოეხვიო და იქცე ნატრულ თანამოსაყდრედ...

ნეტავ, სად ისხდნენ ბედისმწერალნი, საწუთროს ყვირილით რომ ვეახლე!
ჩამავალი მზის ჩარჩოდან, ცაზე, თეთრი ღრუბლების ცა დავინახე,
განა ვიცოდი, რომელს რა ერქვა, ანდა რაიმეს ვიყავი მცოდნე,
მელოდებოდნენ, მელოდებოდნენ ოდნავ შემკრთალნი და მილიმოდნენ...
იმხელა გული მქონდა, მეგონა, ცასა და მიწას ვამყოფინებდი,
იმ სიყვარულის სახლს ვეძებ დღესაც და არსად არ ჩანს კვალი მცირედი,
ყოფნა-არყოფნის წრედში მოქცეულ წუთის სამოსში გამოხვეული,
დარბის და დარბის ნამცეცა წვეთი, ვიდრე ეყოფა სურვილს სხეული...
და – მიკვირს!
მართლა!
რაღას შევნატრით, ანდა რა გვხიბლავს სააქაოსი,
თუ ჰარმონიად სულ ვერ ვაქციეთ, სულ – ოდნავადაც, ყოფის ქაოსი!

შვიდ ბგერას შორის ფარფატა სივრცეს რაღაც ღვთიური სდევს მელოდია –
მელოდებოდა „ჩემი" საწუთრო, ასე მეგონა, ასე მგონია...
იქნება, ისიც, ჩემსავით, ჩემგან მეტს ელოდა და ვერ გავუმართლე –
რა ძალა მოსავთ, სასინანულო, ამ სიფრიფანა, გალეულ სანთლებს...
ჩემს წარმოსახულ მახსოვრობაში ზამთრის მიწებს რო.მ ქარგავდა ჭირხლი,
გაფაციცებით ვეძებდი ავტორს, ვინ იყო – მერე და მერე მივხვდი!

ეჰ, ქალბატონო მშვენიერებავ, ზედაც არავინ აღარ გიყურებს!
უმადლო წუთისოფლის სტუმრებმა ლურჯი ცა უხმოდ გამოიხურეს,
ხსოვნის ქუჩაზე, რიყის ქვებივით, ამოცვენილი ნაფეხურებით,
ძლივს მიბორძიკობს ფიქრის ნაბიჯი, ლიტანიობით და მარხულობით...
თითქოსდა, ყოფის ესკალატორზე ვდგავარ და ვიცვლი დარსა და ავდარს
და რომ მეგონა, მე მივდიოდი, თურმე, თვითონ მას მივყავდი სადღაც
და ვინმემ იცის –
ჟამის მეეტლე, ქორონიკონს რა საზომით ითვლის?
გალობს და გალობს – უსმენ თუ არა –
ნაღვლიანი ცის ფერადი ჩიტი...

***

ხანდახან ისე – სულ უმიზეზოდ, მეწვევა სევდა ატლანტიდური,
ხსოვნის წიაღში, როგორც თონეში, ყველა თმის ღერით ვარ ჩაკიდული,
წყალმცენარეთა საბრძანისიდან თევზებს ამოჰყავთ ზღვა ამფორებით,
ჩანს, უშენობაც რომ აღარ მინდობს, უარაფრობის მეტაფორებით,
ასომთავრულობს ამაოება, ათრთოლებული ბგერის ინტიმით,
ამბავს გიყვები, ჩვენთვის – უბრალოდ, განა იმ ზღვისფერ დღეებს მივტირი,
მენდომებოდა, ვყოფილიყავი ამქვეყნიური ჟამის საწყისი —
უკეთურობის მძლევი ყიჟინით სულ დაფლეთილა ნატვრის საწმისი.
შემომეძარცვა ხორცის სამოსი, ქარს ეფარვიან შიშველი ძვლები,
კვალუჩინარობს სალოდინოში მთვარე – მლოცველი, მზე მირონმცხები,
დიან და დიან ურცხვი დროები ყალბი დღეებით და ყალბი წლებით,
ისე შემყურებს ცა, გეგონება, გარდაიცვალა წუთისოფელი..
სალ კლდეებს შორის გამომწყვდეული ქარიშხლის გმინვით ყრუვდება სივრცე,
ვერც ახლობლობა, ვერც ნაცნობობა ადამჟამინდელ ემიგრანტ ცირცეს
ვერ გავახსენე,
რა არ ვილონე,
მისი ძმის სულიც კი დავაფიცე...
ვერ მოვაგონე ველარაფერი იმ ჩვენებიანთ მამიდა ცირცეს!
ვარდფურცლობაა..
ლტოლვის სურნელი ექორწინება ხილვის სიამეს
და ჩვენეული ვალსის გოლფსტრიმით გულაძგერებულ მერიდიანებს,
თვალს უწვავთ, როგორ ეწყვილებიან ნაკადულები ერთიმეორეს —
მზის მხურვალება ჩვეულ საცთურებს სულ იმეორებს და იმეორებს...
საგაზაფხულო მოუთმენლობით გარინდებულა სივრცის უფსკრული,
ჩამოშლილ ფასადს საერთჯერადო ატლასის ფენა აქვს გადაკრული,
არის საგნები, ასლი ხილვების, რომ ვერ იმეტებ გადასაყრელად,
ზოგი ისეთი მოძალადეა, შენს უნებართვოდ შენში სახლდება
და შენთან ერთად და შენს გარეშე ცოცხლობს თავისი მიეთმოეთით,
თავის წარლვნით და თავის ხილვებით, თავის – კიდობნის მეფე-ნოეთი...
აღარ გეძახი!
რისთვისღა გიხმო!
სიჩუმეს ბნელი ჩახსნია კალთა,
თეთრია ღამე, სულ მთლად უნიშნო, ფერი სამოსის გრაკლელ მკითხავთა,
დიან და დიან მდინარეები ცისა და მიწის ქორონიკონით,
არ დამშორდეო, არ დამშორდეო, ზღვაში, ერთმანეთს ველარ ვიპოვით...
ყოფის ნაპირზე მომლოდინენი ფერად კენჭებზე სხედან ბგერები,
ერთი სული აქვთ, რომელს ავირჩევ, მოფიქრალი მსურს თუ საფერები,
„ზღაპარ იყოო..." მიჩურჩულებდა, არ ეტყობოდა მთვარეს სიმთვრალე,
ვეჭვიანობდი და ცის ასაკი ვთვალე, ვთვალე და ვერ დავითვალე...
ცრუჟამიერზე ყოფაგაკრული თვალს გავაყოლებ ფრიალა ფოთოლს.
საყრდენად ანუ ცამკვიდრებელად, ვინ დამარწმუნებს, ჯვარი რომ მოსწონს.
დაყრუებულა ბრბოის ყაყანით უჯვრო საყდართა ხრიოკი ეზო,
რას მალავს, ნეტავ, ფუტურო ხანა, უგეზოდ მავალთ რომ უანდერძოს!
და – რაღას ვუცდი, ვიღას ვლოდინობ, მეტი აქ, ნეტავ, რა დამრჩენია!
ჩემი დღესაც რომ არარად მიჩნის, ხვალე რა ჩემი გასარჩევია!
მწყემსი ბიჭივით მიერეკება ქარი, მაშრიყით, ღრუბელთა ფარას,
წიაღში მიწის ქარიშხალია, მკვდარი ფოთლებით რომ გადამფარა,
წლების მახეში, ჩიტივით – მაინც, როგორ გავები და გავიხლართე,
ცხადიც კი, მიწყივ, ჰგავს ღამენათევს, სურვილს რომ ყველაფრის ნება დავრთე,
დაორსულდება ღამე ამალამ, უკვე მშობელის სტატუსსაც იჩნობს,
მგვანი იქნება ისიც მამათა, ვარსკვლავისა თუ ბნელეთის პირმშო,
ცნობისწადილით ალვსია მზერა, სარკმელში მელ ედემის მინდორს
თავს დამშრიალებს აჩრდილის ძველა, საბედისწერო და უამინდო,
ვერ მოვასწარი მზის მოფერება, თვალს და ხელშუა ისე დაბინდდა,
შენ უკვე იყავ ედემის მკვიდრი – ქირქილებს ვიღაც – და, რაღა გინდა!
რა შემარჩინეს მღვრიე წვიმებმა, ხვალ რომ ამოვა, მზეს რა ვაჩვენო,
ჰა, მიილია, საწუთისოფლოდ ჟამგამოცლილი წამიც საჩემო...
არც მახსენდება, ჟამუსმინარი, უუმეტესი ჩემზე, ვინ არი,
ვეტივტივები ყოფის მდინარეს, ხან მოლიმარი, ხან – უცინარი,
როგორც სპილენძის თანგირა ქვაბში, ლოცვით ნამზადი საუფლო ტაბლა,
უულეველი მადლია თვითონ, არც დაცოტავდა, არც გაიაფდა...
ჯერ არ მსმენია სხვა მეუფება სიტყვათა სიტყვის – ორთავე სოფლის –
სამშობლოსავით კეთილხმოვანის,
ღმერთივით მუდამ შენს შიგნით მყოფის...
მზის სხივებს, მწიფე პურის ძნებივით, ასდის ცისა და მიწის სურნელი,
ჟამი მდინარებს გამოუცნობი ძებნის სურვილით და საბურველით,
საით მიდიან მდინარეები, თუშის ქალი რომ მიჰყვება საქსოვს,
სად იწყებიან,
სად იწყებიან...
ნეტავი, იმათ თუ მაინც ახსოვთ...
აბორგდებიან, ბოლოს და ბოლოს, ბნელში სინათლის ენერგიები,
ამოიფრქვევა მიწის სარქველით მზისუნახავად ნათლისმიერი
და უკუნეთის უკიდეგანო მზერაშეულწევ თვალსაწიერზე
განეფინება ალუვსებელი სამაგიერო სიცარიელე...
ღამე დარჩებათ ციცინათელებს, საალერსოდ და საასპარეზოდ,
რომ დედამიწის – მარადიული ბავშვის – ქართული, ხასხასა ეზო,
ღვთის ხელისგულზე ძლივს შესამჩნევი, სულ ერთი ბეწო და ერთი ციდა,
არც არასოდეს,
არც არასოდეს
არ ჩანდეს ბნელი არც ერთი ციდან....

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სპარტაკ ბელადიძე

წმინდა ზნეობისა და ცხოვრების წესის თუშ კაცს, წინაპართა ანდერძის განუხრელად შემსრულებელ დეკანოზ ევსტათის (სპარტაკ ბელადიძეს) სიყრმიდანვე მიზნად ჰქონდა დასახული უფლისა და სამშობლოს უმწიკვლო სამსახური. ათეული წლების მანძილზე იგი ალავერდის დიდებული ტაძრის მოძღვარია და ამ სალვთო მოვალეობას სამაგალითო ცოდნით, თავდადებით ასრულებს. ცხვრის მწყემსობაც გამოსცადა.

ძირ-ფესვით საქართველოს ულამაზეს კუთხესთან, თუშეთთან დაკავშირებულს, ბუნებრივია, უსაზღვროდ სტკივა მშობელი მხარის მოსახლეობისგან დაცლა და მისტირის იმ სხვა, განუმეორებელ თუშეთს, ბავშვობიდან რომ ახსოვს.

სპარტაკ ბელადიძე პოეტურ სიტყვას ეტრფის, უპირატესად, ხალხური შაირით გამოხატავს თავის სათქმელს და მწერლობაში მისაბაძ იდეალად ილია და ვაჟა ესახება. ასევე განსაკუთრებულ პატივს მიაგებს მათ კვალში ჩამდგარ გაბრიელ ჯაბუშანურს, ვინაც მთელი არსებით უმღერდა საქართველოს მთიანეთს.

„ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებს მოკრძალებით ვთავაზობთ სპარტაკ ბელადიძის ალალი გულიდან ამოთქმულ რამდენიმე ლექსს.

### *მოგონებანი*

მაგონდება ხილდიხარო,
აჩარა და შარ-არგუნი,
სიყრმის წლებიც მიცოცხლდება,
ნაადრევად დაკარგული.
ხსოვნის გზაზე გაიელვებს
კესელოს ტბის ლურჯი ჭავლიც,
ლამაზმანსაც გავიხსენებ,
ხურხევაში რხევით ჩავლილს.
სულთ ვახსენებ გარდაცვლილთა,
ჩემს თითებზე ასჯერ დათვლილს...
ბავშვობისას ერთად ვკრეფდით
კეწერას, შოთხვს, ხუნწს და ლანძილს.
უფალსა ვთხოვ, რომ სუფევა
არ მოაკლოს იმათ აჩრდილს!

* * *

ხახაბო კლდეზე დაკიდულ
ჩიტის ბუდეს ჰგავს შორიდან,
დაუსრულებლად უცქირო,
არ მოგწყინდება აროდის...
გოგრულთა, როგორც ბაღნარი,
მოჩანს საალმის გორიდან,
გზაზე დაღალულ მგზავრივით
მთვარე ლასლასით ამოდის.
ჩასჭიდებია ბელელა
კლდის ქიმს არწივის ბრჭყალებით,
მზის სხივით ხელ-პირს დაიბანს,
დანო-ყვავილი მთებისა.
ჭეშოში ისევ მღერიან
გარმონზე თუშის ქალები,
სიტყვით არ ძალმიძს, გადმოვცე
ძალა ამ საოცრებისა.

* * *

უფალო, მინდა, რომ ვარ, ვიყო იმაზე კარგი,
ამ წუთისოფლის არ მსურს, გავხდე ზედმეტი ბარგი.
შენგან შექმნილი ვემსახურო შენსავე სახეს,
შენზე უტკბესი სამზეოზე ვერარა ვნახე
და ამიტომაც მუხლმოდრეკილი გემუდარები,
სიბრძნის, სიკეთის მიმასწავლე, სად არს კარები.

### *გაბრიელ ჯაბუშანურს*

მე ყიმაჭიდან გეძახი,
გაბრიელ, გესმის თუ არა?!
ხმას რად არ იღებ, ძმობილო,
ნუთუ არ მოგწვდა მუდარა?
მწვანე ბალახი დაიძრა,
იაც უცინის მზესაო.
აქაურობა წააგავს
იმ ქვეყნის სამოთხესაო.
მანდედან მესმის ხევსურთა
ჯავშნის ჯახანი, ხმაური,
რა გაგიჭირდათ ლომგულებს,
რაზედ გაქვთ აურზაური?
შენი ლექსების ფრთის ცემა
არწივის ყივილს მაგონებს,
ძილი არ მომეკიდება
ციური ხმების გამგონეს.
არხოტში თოვლი მოსულა,
ყიმაჭში წვიმა დისაო,
ლექსებს წერს ჯაბუშანური,
მადლი გამოჰყვა ღვთისაო.

* * *

ახალ წელიწადს გილოცავ,
შემკულს ახალი ფერებით,
გიძღვნი სურვილთა აკიდოს,
დატვირთულს ლექსთა მტევნებით.
სითბო და სიტკბო უხვად გაქვს
უფლისგან მონიჭებული,
მაღალი ღმერთი გფარავდეს
და ანგელოზთა კრებულიც.

* * *

ფიქრით მთაში ვარ, ხორცით აქ,
კახეთში სიცხით ვიწვები.
თვალწინ მიდგანან მწვერვალნი
და ჩრდილი დიკლოს ფიჭვების.
იქ გავატარე ბავშვობა —
ჩემი სიცოცხლის ნაწილი.
მთას მომაშორა ცხოვრებამ
ხანგრძლივად, დიდი მანძილით.
ახლა აქედან იმ ქედებს
ვესაუბრები ხანდახან.
იმ მთებში რა ცაც მეხურა,
აქაც ის მხურავს ჩარდახად.
დრო შეიცვალა და დროში
მეც შევიცვალე პირადად.
ბავშვი ვიყავი, ახლა კი
სხვად ვიქეც გასაკვირადა.
აღარავინ მთვლის იმ მთების
დაბადებულად, შვილადა.
მაშინ თუშეთი სხვა იყო,
ხალხიც სხვაგვარად ბრწყინავდა.

* * *

ყიმაჭში ახლა თოვლი დევს,
ქარი უბერავს მთებითა.
ჩვენ ხუშპარიანთ „ბალკუნქვეშ“
მყუდროზე ხშირად ვსხდებითა.
თეთრთექაჩაცმულ ქედების
შორიდან მზერით ვტკბებითა.
ხან ახიაებს გავაბამთ,
„ყიპიტაურით“ ვთვრებითა,
ბეყოანთ სამსოს სიმღერით,
ვით ცეცხლის ალზე, ვთბებითა.
კართოფილის ვსვამთ არაყსა,
დილით ველარა ვდგებითა,
თავი კი გვტკივა ორ-სამ დღეს,
ტკივილს ველარა ვრჩებითა.

---

# წინაპართა სასახელო




შესაძლოა ეს წიგნი იმაზე მეტი იყოს, ვიდრე ის, რაზეც საინტერესოს იტყვიან. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ეს გახლავთ საინტერესო საკითხზე საინტერესოდ დაწერილი წიგნი – ნოშრევან არაბულის „ხევსურული შუღლი და დოლი“.

წიგნში მოთხრობილია ხევსურთა უნიკალური წეს-ჩვეულებებისა და იმ პირობების შესახებ, რომლებიც ამ კუთხის მკვიდრთ უბადლო მეომრებად აყალიბებდა. დიდი ყურადღება ეთმობა საწესჩვეულებო სამართლის აღწერას, აგრეთვე, თვითნასწავლ მკურნალთა საექიმო ხელოვნებას; გამოკვეთილია ის კულტურული სივრცე, რომელიც დაპირისპირებულ ხევსურებსაც კი ერთმანეთის მიმართ პატივისცემით განაწყობდა. საინტერესო პარალელია გავლებული ხევსურულ შუღლსა და ევროპული ორთაბრძოლის სახეობა „მენსურს“ შორის. მნიშვნელოვანია დოლის ეპიზოდიც, მისი მასშტაბური და ლოკალური ეთნოლოგიური ჭრილი, მისი მახასიათებლები და ნიუანსები.

წიგნს ეპიგრაფად უძღვის გოტფრიდ მერცბახერის – გერმანელი მეცნიერის, გეოგრაფის, ალპინისტისა და მოგზაურის – სიტყვები ხევსურეთის შესახებ: „თუ ამ მცირერიცხოვანი ხალხის ერთობ საინტერესო შიდა სამყაროს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მათი განსაკუთრებულობის მიზეზი სამ გარემოებაშია. ესენია: იმ მხარის ბუნებრივი გარემო, სადაც ისინი ცხოვრობენ, სისხლის აღების წესი და განსაკუთრებული რელიგიური წარმოდგენები. ამ ხალხის წარმოუდგენლად ძლიერ საბრძოლო სულის წარმოშობას და განვითარებას, უწინარეს ყოვლისა, პირველი ორი ფაქტორი განაპირობებდა“.

დიახ, ბუნებრივი გარემო და სისხლის აღების წესი.

სწორედ ამ სულისკვეთებაზე აქვს აგებული თავისი წიგნი ნოშრევან არაბულს. მარტო სათაურების გაცნობაც საკმარისია, რათა წარმოვიდგინოთ მონათხრობისა და ანალიზის ექსპრესიული შინაარსი: ხევსურული შუღლი და მისი აქსესუარები, პატივის დიდება, ჭრილობა და დრამა, შერიგება და რჯული, ხევსურული ცხენი ანუ დოლვი, დოლის ორგანიზაციის დეტალები და სხვ. მონოგრაფიას თან ერთვის ბეწინა ხარჩილას ძე წიკლაურის მიერ აღწერილი გიორგათ ჩაჩაურის დოლი, ნისლაურთ ხიჩლასა და აბაბუხნელი ჭრელას შუღლი, ბესარიონ გაბუურის ხევსურული სამართალი (აკაკი შანიძის რედაქციით), ბეწინურ არაბულის ჩანაწერები სხვადასხვა რჯულ-სამართალზე.

იმ პირობებსა და დროში, როდესაც გაქრობის პირას არის მისული მთის ეთნოგრაფიული ტრადიციები, ნოშრევან არაბულის წიგნი მოჩანს როგორც ერთადერთი გზა ამ უნიკალური კულტურის ისტორიის გადასარჩენად.

სწორედ ამის შესახებ წერს წიგნის რედაქტორი ავთანდილ არაბული: „წინამდებარე წიგნის ავტორს – ნოშრევან არაბულს – კალამი მრავალმხრივ აქვს ნაცადი – მისი ორიგინალური ლექსები და მოთხრობები, მისი ისტორიული ხასიათის ნარკვევები გემოვნებიანი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი. მაგრამ ეს მაინც სულ სხვაა. ეს წიგნი – ნარკვევები საკუთარი წინაპრების ქველის-საქმეთა შესახებ სწორედაც მას უნდა დაეწერა. ბოლოს და ბოლოს, იგი უშუალოდ მოესწრო და დაესწრო შეუღლებისა, აქიმობისა და მედიატორობის – დოლებისა რომ არაფერი ვთქვათ, – იმ არაერთ შემთხვევას, რომლებიც სახელდობრ მის ოჯახთან, მის პაპასთან – სახელგანთქმულ დასტაქარ ბეწინა არაბულთან იყო დაკავშირებული. ამით იგი ადამიანურ ვალსაც იხდის თავისი უახლოესი წინაპრების წინაშე და რა გასაკვირია, თუ ეს წიგნი სწორედ მისი პაპისა და ბებიის სახელს ეძღვნება!“

ნოშრევან არაბულის „ხევსურული შუღლი და დოლი“ გამომცემლობა „ინტელექტის“ ახალი სერიის, „მოყევი საქართველოს“ ფარგლებში გამოიცა.

რედაქტორი, როგორც ითქვა, ავთანდილ არაბულია, კონსულტანტები – პაატა ჩხეიძე და თეიმურაზ ივანიშვილი, დამკაბადონებელი – ვიოლა ტულუში, გარეკანის დიზაინერი – თეონა ჭანიშვილი.

ეთნოგრაფიული ლიტერატურის მოყვარულებმა ერთი კარგი წიგნი იშოვეს ამ ზაფხულისთვის: ჩეროში, ჩრდილში, ხანდახან...

**გერონტი ყვავაძე**

# აფხაზ მეგობრებს...

## აქა ამბავი რემბრანდტის მეზობლისა, ზალიკო სულაკაურისა და ჩემი აფხაზი მეგობრებისა



რემბრანდტის ერთ მეზობელს, რომელიც პროფესიით ხარაზი ყოფილა და არცთუ ისე ცუდი, ძალიან უყვარდა თურმე დიდი მხატვრის ახალ-ახალი ნამუშევრების ნახვა და შეფასება...

ერთხელაც რემბრანდტმა, დაასრულა თუ არა დიდი ტილო, რომელზედაც ასახული იყო ნაცნობი ჰერცოგის მთელი ჯალაბობა, ტრადიციულად მიიპატიჟა ეს მეზობელი და ღიმილით ჰკითხა, აბა, ამ სურათს როგორ შემიფასებო...

ხარაზმა ყურადღებით ახედ-დახედა ვეებერთელა ნახატს, ჯერ ახლოდან, მერე ცოტა უკან დაიხია, ერთიც კიდევ შეავლო თვალი და ავტორიტეტულად დაასკვნა, ყველაფერი კარგია, მაგრამ უფროს ვაჟს მარცხენა ფეხზე ზონარი წესიერად არ აქვს შებნეულიო...

მეც ასე მომივიდა, როცა დაბადების 88-ე წლისთავზე იმ შეჩვენებულმა ზალიკო სულაკაურმა ასეთ ყოფაში დამხატა ( ეს მეგობრული შარჟი „ლიტერატურულ საქართველოში" ა. წ. 3 ივნისს გამოქვეყნდა), ანუ გავაპროტესტე მხოლოდ ის, რაც, რემბრანდტის მეზობლისა არ იყოს, ვიცი კარგად – ეს ყოვლად უსახური, უფორმო და მოცუცქნული ყანწი...

მოსულიყო ჩემთან ეს ჩემი ძველი ძმაკაცი და ვაჩვენებდი ნამდვილ ყანწებს, თუნდაც 1986 წელს რომ მაჩუქეს სოხუმში ჩემმა ძვირფასმა აფხაზმა მეგობრებმა – კამეჩის ყანწია, მძიმე და სოლიდური, ერთი-ორჯერ ტელევიზიითაც ვაჩვენე... ახლა წარწერას არ იკითხავთ, მთელი ტირადაა, მე და ჩემმა ღმერთმა:

Георгию Долидзе —

автору цикла передач „Из истории Грузинского кино".

Огромное спасибо за возвращение нашего отца – участника фильма „Угубзиара".

Нелли, Анна, Тина Маргания

Сухуми, 1986

„უგუბზიარა" ცნობილი ქართველი კინორეჟისორის, საქ. სახ. არტისტის, დავით რონდელის (1904 – 76) ერთობ წარმატებული დებიუტია მხატვრულ კინოში (მანამდე ორიოდე დოკუმენტური სურათი ჰქონდა გადაღებული). სცენარის თანაავტორიც თავად არის (იგი ხომ ლიტერატურიდან მივიდა კინოში, სახელოვან ქართველ დრამატურგ გიორგი მდივანთან ერთად, რომელსაც, ნიშნად დიდი სიყვარულისა, ყველა „ჟორჟიკას" ვეძახდით...

ფილმი 1930 წელსაა გადაღებული აფხაზეთში. თვით სიტყვა „უგუბზიარა" ზოგადად „ჯანმრთელობას" ნიშნავს და ფილმიც ხშირად სწორედ ამ სახელწოდებით გადიოდა, ზოგჯერაც უფრო დაკონკრეტებულადაც – „შენი ჯანმრთელობისთვის". შესაბამისი იყო ფილმის პათოსიც – სოფლის ახალგაზრდობის, ანუ კომკავშირელების უშელავათო ბრძოლა ექიმბაშობის წინააღმდეგ, ანუ, სხვა სიტყვებით, ცხოვრების ახლებური წესების დასამკვიდრებლად.



გასული საუკუნის 70-90 წლებში ყოველკვირეული გადაცემა მქონდა საქართველოს ტელევიზიით – „ქართული კინოს ისტორიიდან", რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. თანამედროვე მაყურებელს პირველად სწორედ ამ გადაცემაში ვუჩვენე (22.XI.1985) ფილმი, რომელსაც ისეთი გამოხმაურება მოჰყვა აფხაზეთში, რომ მალე გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში" (18.I.1986) გამოვაქვეყნე უხვად ილუსტრირებული სტატია და აფხაზ მკითხველ-მაყურებელს ვთხოვე, თუ იცოდნენ რაიმე ამ ფილმის გადაღებაზე. 3 დღის შემდეგ (22.I.1986) ჩემი სტატია მთლიანად გადაბეჭდა გაზეთმა „სოვეტსკაია აფხაზიამ", შემდეგ კი (25.I.1986) გაზეთმა „აფსნი ყაფშმა". უკვე თებერვლის დასაწყისში „სოვეტსკაია აფხაზიამ" გადმომიგზავნა ლიხნის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეთა წრის ხელმძღვანელის, ვალერი გუნბას წერილი, რომელშიც დაწვრილებით არის მოთხრობილი, რა ინფორმაცია მოიპოვეს მოსწავლეებმა ამ ფილმზე, რომ „იგი ძირითადად გადაიღეს ალექსი გერზმანის ეზოში, რომ ჯერჯერობით, ანუ ტელევიზიაში ერთი ნახვით, ამოცნობილია ფილმის 21 მონაწილე თანასოფლელი და ჩამოთვლილია მათი გვარები... ფილმის განმეორებითი ჩვენება სოფელ ლიხნში სოფლის მოხუცთა დასწრებით, მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ ყველა მონაწილის ვინაობა", – ნათქვამია წერილში.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ „უგუბზიარა" ორ (ქართულ-აფხაზურ) ვარიანტად აღვადგინე. აფხაზური ვარიანტის შექმნაში დიდად დამეხმარა ჩემი მეგობარი და კოლეგა, პირველი აფხაზი კინორეჟისორი სლავა აბლოთია, რომელსაც ჩვენი – თეატრისა და კინოს ინსტიტუტი (დღეს – უნივერსიტეტი) აქვს დამთავრებული. ერთი ეგზემპლარი ვაჩუქე კიდეც სოფელ ლიხნის მცხოვრებლებს.

დიდი სიყვარულით უნდა მოვიგონო ჩემი შეხვედრა აფაზეთის ინტელიგენციასთან 1986 წელს – სწორედ მაშინ



გადმომეცა ეს ვეებერთელა ყანწი, რომელიც, ცხადია, სიამოვნებით გეახელით და მასპინძლების აღფრთოვანებაც დავიმსახურე... მკითხველმა ისე რომ არ გაიგოს, თითქოს ჩემი, როგორც სატელევიზიო გადაცემის ავტორის, მოვალეობა იყო ძველი ფილმების აღდგენა, აქვე განვმარტავ: ეს ურთულესი პროცესი ხდებოდა უშუალოდ კინოსტუდია „ქართულ ფილმში", როგორც ეს მიღებულია საერთოდ კინოწარმოებაში. ყოველი ახალი გადასაღები თუ აღსადგენი ფილმი „ჩაეშვებოდა" (არსებობს ასეთი ტერმინი) წარმოებაში, გამოიცემოდა საგანგებო ბრძანება, რომელშიც ყველაფერი იყო განსაზღვრული...

მას შემდეგ, რაც ასე აღვადგინე 10 ფილმი, რეჟისორის კატეგორიაც კი მომანიჭეს. რეზო ჩხეიძისა და ლელიკო ხოტივარის კურთხევით სულ აღდგენილი მაქვს 21 ფილმი, რომელთა შესახებაც მკითხველ-მაყურებელი უხვად იყო ინფორმირებული. კინოს სახლის ვეებერთელა დარბაზში წინასწარ გამოცხადებული განრიგის მიხედვით იმართებოდა პრემიერები, უამრავი ხალხი ესწრებოდა, იწერებოდა სათანადო რეცენზიები და ა. შ. და ა. შ. იმისდა მიხედვით, სად, რომელ რეგიონში იყო ფილმი გადაღებული, იქაც ჩავდიოდი, ვუჩვენებდი ჩემს ახალ ნამუშევრებს და ზღვა ინფორმაციასაც ვიღებდი, როგორც კინომცოდნე – ჩემი მიზანიც ხომ ეს იყო და არა მართლაც კინორეჟისორობა...

ერთი სიტყვით, ისე გავხდი რეჟისორი, რომ არავითარი სპეციალური კურსები არ გამივლია და, რომ იტყვიან, გავერიე რეჟისორების მარაქაში, რაც ჩემი უფროსი და უძვირფასესი მეგობრების – რეზო ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის საამო ღიმილს იწვევდა. ისე მანებივრებდნენ, რომ, ცხადია, არაოფიციალურ გარემოში, „ ჩემს კოლეგებსაც" კი ვუწოდებდი... ერთხელაც ნამეტანიც მომივიდა, თქვენი სახელი და გვარი 7 თუ 8 ფილმს აწერია, „რეჟისორი გიორგი დოლიძე" კი უკვე 21 ფილმს-მეთქი. რეზომ ამაზე გულიანად ჩაიცინა და შეთანხმებულივით აცადა თენგიზს, რომელმაც ხაზგასმით, ხმამაღლა განაცხადა, ბატონო გოგი, თქვენ ვინ შეგედრებათო...

ეს კიდევ არაფერი, თენგიზმა ერთხელ მართლაც გამაოცა – სტუდიის ხმის ჩამწერ საამქროში ვიყავით და ჩვენს რიგს ველოდებოდით – იქ სია არის ხოლმე გამოკრული, რომელი რეჟისორი რომელი საათიდან შედის სტუდიაში...

და აი, ვართ მოსაცდელში ორი რეჟისორი – მარად სიმპათიური და კოხტად გამოწკეპილი თენგიზ აბულაძე და თქვენი მონა-მორჩილი (აკი გითხარით, რეჟისორების მარაქაში გავერიე-მეთქი) და ველოდებით ჩვენს რიგს... რომელი ფილმის აღდგენაზე მუშაობო, – მკითხა თენგიზმა და მეც ვუთხარი. მაგრამ, ცხადია, უფრო საინტერესო იყო, თავად რაზე მუშაობდა და, ბუნებრივია, მეც შევეკითხე, როგორც კოლეგას (რატომ ვარ ცოცხალი?!), თქვენ რაზე მუშაობთ-მეთქი. ისეთი ფრაზა მითხრა, თქვენც გაგაოცებთ ახლა:

– რაზე ვმუშაობ და, ეს ჩემი „მონანიება" ისე ამიჩეხ-დამიჩეხეს, მგონი, ბოლოს შენი აღსადგენი გახდებაო...

იუმორი იუმორია, მაგრამ არ არის ეს იმის ნიმუში, თუ თენგიზ აბულაძე საზოგადოდ მიუკარებელი რომ ეგონა ყველას, სინამდვილეში რა გულისხმიერი, ნამდვილი მეგობარი იყო და დიდი იუმორითაც დაჯილდოებული?...

ეეჰ, რა ბედნიერება იყო ქართული ნიჭიერებისა და სიკეთის ამ ბუმბერაზებთან სიახლოვე!

**გოგი დოლიძე**

**P.S.** ზოგადად უკვე მივუთითე, რომ ეს ყანწი ნაჩვენები მაქვს ტელევიზიით, მაგრამ „მოამბეში" ერთხელ საგანგებო განცხადებაც გავაკეთე, ასე ვთქვათ, გურულ სტილში – ჩემო ძვირფასო მეგობრებო, უკვე სიბერისკენ მივდივარ და, ეგებ, როგორმე შევხვდეთ და ეს ყანწი ერთხელაც შევსვათ-მეთქი...

როგორც ჩანს, მიუვიდათ ეს ხმა აფხაზეთში და შემომითვალეს, აი, თბილისში ვაგზავნით მანქანას იმ ტრაგიკულად დაღუპული ორი ბიჭის დედის გადმოსაყვანად, თქვენს მეზობლად რომ ცხოვრობდნენ და ეგებ, გამოყვეთო... მაგრამ, ცხადია, უარი განვაცხადე ასეთ შემოთავაზებაზე და იქით შევუთვალე, აგერ ჩვენი კულტურის სამინისტრო, გამოაგზავნეთ ოფიციალური წერილი და თავად გეახლებით-მეთქი ჩემი მანქანით.

არანაირი პასუხი ამაზე არ მიმიღია. ასე რომ, ახლა, მართალია, უკვე 89-ეში გადავედი, მაგრამ ამ ყანწს მაინც სიამოვნებით შევსვამდი ჩემს აფხაზ მეგობრებთან ერთად...

აბა, ახლა სიტყვა თქვენზეა, ჩემო აფხაზო მეგობრებო, და ჯერიც დგას ჩემი მასპინძლობისა!

მარად თქვენი **გ.დ.**




# წიგნის ბედი

აკაკი ბიძინაშვილი გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში ცხოვრობს და იქიდან უერთებს თავის ხმას საქართველოში ლიტერატურული ცხოვრების პოლიფონიურ გუგუნს.

ახლახან პატრიოტული ლექსების ტომი გამოსცა უალტერნატივო სათაურით – „გორის ციხიდან".

პოეტს სურს, თავის სანაცვლოდ სააქაოში დატოვოს ლექსი.

„პატრიოტიზმი ადამიანის უმაღლესი ცნებაა, პოეტზე კარგად საქმით თუ არა, სიტყვით მაინც ვერავინ გამოხატავს ამ მარადიული გრძნობის უმაღლესობას. შევეცადე წიგნში გამოქვეყნებული ლექსებით გამომემჟღავნებინა სამშობლოს სიყვარული. შევეხე ადამიანის სულის მასაზრდოებელ სხვა თემებსაც. თუ როგორ მოვახერხე ყოველივე ეს, ამის შეფასებს თქვენთვის მომინდვია", – წერს აკაკი ბიძინაშვილი. წერს და სწერს მკითხველებს, რომელთა გარეშე ვერ წარმოუდგენია თავისი სიტყვა.

პოეტს ისიც აფიქრებს, მივა თუ არა ეს წიგნი მკითხველამდე.

მივა. ადრე თუ გვიან, ყველა წიგნი მიდის მკითხველამდე. შესაძლოა ხელიდან ხელში არ გადავიდეს და ფურცვლა-ფურცვლით არ გაიცრიცოს, მაგრამ იქ მაინც მივა, სადაც მისასვლელი აქვს. აკაკი ბიძინაშვილის ბევრი სტრიქონი მკითხველის სათქმელსაც ამბობს, მის ფიქრსა და საზრუნავსაც გამოხატავს და რატომ არ შეიძლება ეს წიგნიც ენთოს, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „როგორც სანთელი, ან შავ მიწაში ბროლი".

ყველა წიგნს თავისი ბედი აქვს.

ბედი – ამ წიგნსაც!

**ვაჟა ბეთანელი**

# საქართველოს სიყვარულით ანთებული

▶▶ დასასრული. დასაწყისი „ლს" № 14,15,16

ემზარ კვიტაიშვილი



ანა კალანდაძეს აქვს ერთი მცირე ოპუსი იმაზე თუ როგორ ნებივრად იბადება ლექსი და თავისი თავი გაიგივებული აქვს უძველეს საკრავთან, სტვირთან. ეს მოტივი ჯერ კიდევ ანტიკური სამყაროდან მომდინარეობს. ძველ ბერძნებს სავსებით სამართლიანად მიაჩნდათ, რომ პოეტი უმაღლესი შთაგონების ხელში იარალი, საკრავია და იგი ზეგარდმო ძალით გამოსცემს მომაჯადოებელ, ზეციურ ხმებს. პლატონი და სხვა ბერძენი მოაზროვნეები ასეთ მდგომარეობას უწოდებდნენ „ღვთაებრივ სიშმაგეს", რაც ერთგვარი ტრანსში ყოფნის აღმნიშვნელია. შემოქმედების პროცესში შთაგონებასა და მნიშვნელობაზე მრავალჯერ დაწერილა. ამ იშვიათი მოვლენის სიტყვიერად ახსნა უძნელესი, თითქმის შეუძლებელია. ბევრი რამ ამ დროს გაუაზრებლად, გაუთვალისწინებლად, ქვეცნობიერად ხდება. ქართველმა პოეტმა ნაგულისხმებ ლექსში („რა ვარ? სტვირი ვარ?..") ეს მდგომარეობა მეტაფორულად, მაგრამ უბრალოდ, ყოველგვარი წიაღსვლებისა და რთული მინიშნებების გარეშე გამოხატა, ისე, როგორც ლაღად, დაუძაბავად ამოთქმულ სიმღერას შეეფერება. მომაქვს პირველი სტროფი და ფინალური ორი სტრიქონი:

*ეს სიხარულის ცრემლებია,*
*როდი ვტირივარ,*
*ჩამბერავს ქარი, ავმღერდები:*
*მე ხომ სტვირი ვარ.*
*. . .*
*შთამბერე, ქარო, ნახონ ძალა*
*ჩემი გრძნობისა.*

პარალელურად გავიხსენოთ ამავე თემაზე დაწერილი ბელა ახმადულინას დიდი ლექსი „კვირადღეს" («Воскресный день»), ძირითადად, ბუნების გარესამყაროს განუზომელი მრავალფეროვნებისკენ მიმართული, როცა პოეტი ძილის ბურანიდან გამოდის და მასში თანდათან ილვიძებს ლექსისკენ ლტოლვა. ერთმანეთს ენაცვლება ყოფითი, თითქოსდა ბანალური სურათები (ცივი წყლით ხელ-პირის დაბანა, ყავის დალევა...) და პეიზაჟები; ყველაფერი იქითკენ უბიძგებს შემოქმედს, შთაგონების ცეცხლში გაეხვიოს, მდუმარებიდან გამოიხმოს ბუნდოვნად მოსმენილი ბგერები, რომლებიც მერე შეიძენენ აზრს, ლექსად, მუსიკად იქცევიან («Я из безголовья вызволяю слово»).

ვისაც კი ოდესმე ლექსთან შეხება ჰქონია, შეუძლებელია, რომ პოეზიის ეს მაგიური ძალა, დაუვიწყარი ნეტარების ჟრჟოლა არ განეცადოს.

თბილისში ჩამოსულ ბელა ახმადულინას და მის მეუღლეს, ასევე, საქართველოს დიდად მოყვარულ გამოჩენილ მხატვარ-სცენოგრაფს ბორის მესერერს ბევრი ქართული ოჯახი უწევდა გულითად მასპინძლობას. მათ შორის უპირველესად უნდა დავასახელო კლასიკოსად შერაცხილი, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული რომანის „დათა თუთაშხიას" ავტორი, საბჭოთა რეჟიმთან შეურიგებლად მებრძოლი ჭაბუა ამირეჯიბი, ვინაც გულაგში თვრამეტი წელი გაატარა. ჭაბუა და მისი ცოლი თამარ ჯავახიშვილი, მშვენიერი ლირიკოსი და მთარგმნელი, მუდამ სიხარულით ეგებებოდნენ სასურველ სტუმრებსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას ხშირად ახლდნენ ხოლმე.

ბელა ახმადულინას უახლოესი მეგობრები იყვნენ სამოციანელთა თაობის უთვალსაჩინოესი პოეტები, ძმები თამაზ და ოთარ ჭილაძეები. ბელამ მათ განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით აღსავსე ლექსი მიუძღვნა («Тифлис»), ჩვენს დედაქალაქს ადრინდელი დაწერილობა შეუნარჩუნა და ამან განაპირობა, რომ ლექსში ძველი თბილისის ყოფის ამსახველი სურათებია ასახული.

თბილისელი მეგობრებიდან ბელა ახმადულინასთან ყველაზე მეტად იყო დაახლოებული სილამაზით განთქმული კინოვარსკვლავის თამარ ციციშვილის ქალიშვილი, დედასავით მშვენიერი გარეგნობისა და ისეთივე კეთილი გულის მანანა გედევანიშვილი. ისა და მისი ქმარი, ლიტერატურაში საკმაოდ ჩახედული ნიჭიერი ფიზიკოსი იური ჩაჩხიანი ბელასა და მის მეუღლეს ყველანაირ პირობებს უქმნიდნენ, რათა საქართველოში შინაურულად ეგრძნოთ თავი. მანანა ჩემი სიყრმის მეგობარია და ბევრი რამ მომიყვა ბელასთან ურთიერთობაზე, როგორ დადიოდნენ ისინი ელენე ახვლედიანისა და სხვა მხატვრების სახელოსნოებში. მანანა პროფესიით ექიმია, მაგრამ ზედმიწევნით კარგად იცის ქართული და რუსული პოეზია, ძალზე გონებამახვილია და წერაც ემარჯვება. სახელდახელოდ დაწერილ მოგონებებში რუსულენოვან მკითხველებს იგი ცოცხლად მოუთხრობს ეპიზოდების ერთ ნაწილს, როცა ბედნიერება ერგო დიდ რუს პოეტთან სიახლოვისა.

ბელა ახმადულინასადმი მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ახლახან გარდაცვლილი, მუსიკალური სმენითაც დაჯილდოებული, ბოჰემური დროსტარებისკენ მიდრეკილი ჩვენი ნიჭიერი პოეტი რეზო ამაშუკელი. თვითონ ბელა სიამოვნებით იხსენებს რეზოს აწყვეტილ ქეიფებს, ოხუნჯობას, კალამბურებსა და უწყინარ ონავრობას, როცა ერთხელ ხელი შეუშალა თბილისიდან გაფრენაში, რათა ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყო ქართველ მეგობრებთან.

უთუოდ უნდა მოვიხსენიო ჩვენი დიდი გაქანების მხატვარი კოკა იგნატოვი, ვინაც ეთაყვანებოდა ბელას პოეზიას და პიროვნებას. ამის გამოვლინება იყო ფუნიკულიორის დამამშვენებელი ვეებერთელა პანო ფიროსმანის მოტივებზე. მასზე თითქმის მთელი ძველი თბილისი იყო განთავსებული და ჩემი თვალით წამიკითხავს ქვემო კუთხეში ავტორის მინაწერი: «Посвящается Белле Ахмадулиной!». არ ვიცი, რა ბედი ეწია იმ დიდებულ ნამუშევარს.

ბელა ახმადულინას და მის მეუღლეს თბილისში ყოფნისას არაერთხელ მოუნახულებიათ ლადო გუდიაშვილი და პოეტი ხშირად კითხულობდა მასპინძელთა თხოვნით ლექსებს. ერთ-ერთი ბოლო სტუმრობისას ფიროსმანის მემკვიდრეს მისთვის თავისი წიგნი უჩუქებია და ზედ წაუწერია:

«Гениальной поэтессе нашей современности, человеку редчайшей души, дорогой Белле Ахмадулиной в день ее рождения. 10-IV-1980 года. С любовью, Ладо Гудиашвили».

უდიდესი პოეტების (გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ბორის პასტერნაკი...) თავდადებული მეგობარი და მხატვრობაში თვითონაც ასეთივე პოეტი, ლადო გუდიაშვილი, ვისაც ნიჭის შეცნობა არ ემლებოდა, ასეთ წარწერას დაუფიქრებლად არ გააკეთებდა.

შედარებით მეტი უნდა ვთქვა იმ მჭიდრო ურთიერთობაზე, რაც ბელა ახმადულინას და ბორის მესერერს წლების განმავლობაში მსოფლიო მნიშვნელობის კინორეჟისორთან და განსაცვიფრებელი ფანტაზიის მეტად თავისებურ მხატვართან, კოლაჟის სწორუპოვარ ოსტატთან, დაუცხრომელ კოლექციონერთან სერგო ფარაჯანოვთან ჰქონდათ. თბილისში ჩამოსული ცოლ-ქმარი ყველაზე ხშირად კოტე მესხის ქუჩაზე (№7) ადიოდა მის სანახავად და სასაუბროდ. ფარაჯანოვიც წრეგადასულ თაყვანისცემას ამჟღავნებდა ბელა ახმადულინას მიმართ, ეამაყებოდა მასთან მეგობრობა და თბილისის ქუჩებში სეირნობისას ანდა სხვადასხვა, სწრაფად მომსახურე დუქნებში შევლისას (არ უყვარდა მდიდრული რესტორნები), ცდილობდა, ყველასათვის გაეცნო. ბელაც არ დარჩენია ვალში. როცა 1982 წლის 3 იანვარს თავის ბინაზე დააპატიმრეს, ყველაფერი იღონა, თავი არ დაუზოგავს, რათა იგი ციხიდან დაეხსნა. ისეთი თხოვნა დაწერა ედუარდ შევარდნაძის სახელზე (პირადადაც შეხვდა მას), ქვას აატირებდა. ამ ამბავში საფრანგეთის ხელისუფლებაც ჩაერია და საერთო ძალისხმევით ცხრა თვის შემდეგ დიდი ხელოვანი ორთაჭალის ციხიდან გაათავისუფლეს.

იგი მანამდეც დააპატიმრეს და ეს ბევრად რთული და მძიმე იყო. 1973 წელს დაიჭირეს კიევში და ოთხი წელი გაატარა მკაცრი რეჟიმის ბანაკებში. 1977 წელს დაბრუნდა მშობლიურ თბილისში, მაგრამ დიდხანს არ ეძლეოდა შესაძლებლობა, თავისი ჩანაფიქრები განეხორციელებინა, თუმცა ხელში ეჭირა ფილმებად გადასაღები თავისივე სცენარები, რომელთაგან შემდგომ რამდენიმეს დადგმა მოასწრო.

მეგობრობა და თავდადება, სხვათა ღვაწლის პირუთვნელად განჭვრეტა და შეფასება ისეთი უნდა, როგორიც საქართველოზე შეუდარებელი სიზმრების მხილველმა, თვითონაც განუმეორებელმა ბელა ახმადულინამ იცოდა.

ჩვენთვის არ იყო ძნელი მისახვედრი – როცა ბელა ახმადულინა თბილისში მოფრინავდა, ყველაზე მეტად გია მარგველაშვილისა და ალექსანდრე (შურა) ციბულევსკის ნახვა ეწადა. პირველები ისინი ეგებებოდნენ აეროპორტში, რათა მერე მთელი დღეების განმავლობაში ერთად ევლოთ, მყუდრო სარდაფებში მსხდომებს საუბრით გული ეჯერებინათ.

რამდენად ეძვირფასებოდა ბელა ახმადულინას საქართველო და თბილისი, ამაში უთვალავჯერ დავრწმუნებულვართ. მუდამ გულთან მიჰქონდა ჩვენი სიხარული თუ წუხილი. 1966 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში გარდაიცვალნენ სიმონ ჩიქოვანი და გიორგი ლეონიძე. ეს იყო საქართველოს განუზომელი მწუხარება, რასაც არ შეიძლებოდა არ დაეთრგუნა, სულით ხორცამდე არ შეეძრა ბელა ახმადულინა. ერთი წლის შემდეგ, შემოდგომაზე, იგი ჩამოვიდა თბილისში და ქალაქი სავალალოდ შეცვლილი, დაცარიელებული ეჩვენა უიმათოდ. მეტეხის უსაყვარლესი ხიდიც აღარ იზიდავდა, თითქოს გადასხვაფერებულიყო. ერთადერთი, არნახულად ლამაზი, სპეტაკთმიანი ლადო გუდიაშვილის სილუეტი და ნათელ, მაღალჭერიან დარბაზში მისი მეფური გავლა ამშვიდებდა ჩამოსულის ნაღვლიან მზერას.

ბელა ახმადულინამ, როგორც არავინ, იცის მშვენიერ ქალთა გრაციის, სილამაზის შემჩნევა; მის თვალს არც მათი ნაირ-ნაირი მორთულობა თუ ჩაცმულობა გამოეპარება. ამის ნათელსაყოფად ბევრი ძებნა არაა საჭირო. მყისვე მახსენდება ასეთი ბანოვანებისადმი მიძღვნილი დიდი უსათაურო ლექსი, რომელიც პუშკინის მცირე სატრფიალო შედევრს მიმსგავსებული სამი სიტყვით იწყება, მაგრამ მერე სულ სხვაგვარად წარიმართება, სხვა სურათები იხატება.

პირველსავე ლაღად გაშლილ სტროფში ნაჩვენებია, რომ ეს მომხიბლავი არსებები თავიანთ დამბნედავ, თავბრუდამხვევ ეშხს არ კმარობენ და ნაზ მხრებზე დახოცილ და გატყავებულ მხეცთა ძვირფასი, ფაფუკი ბეწვეული აქვთ მოგდებული. უნებურად შეგებრალება ოდესღაც ცოცხალი, ხის ტოტებზე მხტომელი თუ ტყე-ტყე მოცუქცუქე მოქნილი ცხოველები (კვერნები, თეთრი და ცისფერი მელიები...), რომლებიც ამ ფუფუნების მოყვარულთა სამკაულად იქცნენ.

ამაზე ცალკე უნდა ითქვას – უერთგულესმა მეუღლემ, ფერმწერმა, გრაფიკოსმა და სცენოგრაფმა, არქიტექტორმა ბორის მესერერმა ბელა ახმადულინას უძღვნა რვაას გვერდს აღმატებული, უნიკალური ფოტომასალის შემცველი ძალზე მნიშვნელოვანი მოგონებათა წიგნი, რომელშიც უდიდესი სიყვარულით და სითბოთი არის წარმოდგენილი მათი თითქმის ორმოცწლიანი ერთად ცხოვრების უმთავრესი ეპიზოდები, დახატულია მეგობრული წრე, სადაც უხდებოდათ ყოფნა, შეხვედრები და ურთიერთობანი სხვადასხვა პროფესიისა და ხასიათის ადამიანებთან. ესენი იყვნენ: პოეტები, პროზაიკოსები, მხატვრები, მოქანდაკეები, არქიტექტორები, მუსიკოსები, თეატრისა და კინოს რეჟისორები, მომღერლები, მოცეკვავეები, მეცნიერები, ფილოსოფოსები, ჟურნალისტები, კოლექციონერები, ფოტოგრაფები, პოლიტიკოსები... ვინ აღარ, ყველას ვერ ჩამოთვლი, ისეთი სიმრავლეა.

ბელა ახმადულინა, მეუღლითურთ, ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა, ძნელად მისადგომ მთიან კუთხეებშიც. სვანეთში ერთი თვე დარჩენილან. საცხოვრებლად მესტია უფრო მოსახერხებელია და იქ დაუდევთ ბინა. მასპინძლებს უჩვენებიათ სვანეთის იშვიათი სიძველეები. აღფრთოვანებული დარჩენილან იქაურ ეკლესიათა ფრესკების დათვალიერების შემდეგ. ბორის მესერერს, ვისაც თითქმის მთელი მსოფლიო აქვს შემოვლილი, უზომოდ ხიბლავს უშგულის პირქუში კოშკების ნახვა, რომლებსაც ძლიერმა მიწისძვრებმაც ვერაფერი დააკლეს.

ერთხელ ჭაბუა ამირეჯიბს ორივესთვის შეუთავაზებია ხევსურეთში რელიგიურ დღესასწაულზე წასვლა. თავისი მანქანით წაუყვანია ისინი იმ დროს ძნელად სავალ და საშიშ გზებზე. ხევსურეთის ცენტრში, შატილში მისულან. იქვე, მდინარე არღუნის ნაპირას, დაბლობზე, სადღესასწაულო სუფრები დახვედრიათ. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებიც ყოფილან და ყველაფერი სანაქებოდ ჩატარებულა. ბორის მესერერს იქაურობა უშგულზე არანაკლებად მოსწონებია. მცირე აბზაცში ერთმანეთზე მიწყობილი, გადაბმული საცხოვრისები, შორიდან ჭიანჭველების ბუდეს რომ ჰგავს, დაკვირვებული თვალით არის დანახული. გამოცდილ, ლაღი ფანტაზიის მხატვარს, ფუნჯის ოსტატს, ამის შემჩნევა არ გაუჭირდებოდა.

ერთმა მეგობარმა მიამბო, რომ ბელა ამის მერეც ყოფილა ხევსურეთში, ოღონდ ამჯერად, ვგონებ, ჩვენს უნიჭიერეს მხატვარს თენგიზ მირზაშვილსა და ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეს, პოეტსა და ფოლკლორისტს, ვახუშტი კოტეტიშვილს წაუყვანიათ იგი სოფელ ხახმატში. მათ ხლებიათ, ასევე პოეტი და მთარგმნელი, თავისებური პოლიგლოტი ზეზვა მედულაშვილი, ვისაც ძალიან ეხერხებოდა მახვილგონივრული კალამბურების თქმა და გაშაირება, კაფიების სახელდახელოდ შეთხზვა. ხახმატში ზამთრობით თითქმის აღარავინ ცხოვრობს, მაგრამ ზაფხულში ჩადიან ხოლმე იქაურები. მაშინაც რელიგიური დღესასწაული ეწყობოდა და ხევსურები საკმარისად შეგროვილან. ზეზვას ინიციატივა გამოუჩენია, დამხვდურებისთვის მისებური ენაკვიმატობით და ხუმრობით წარუდგენია საპატიო სტუმარი:

– ძვირფასო ხახმატელებო, დღეს თქვენთან შესახვედრად ჩამოვიყვანეთ საქართველოს დიდად მოყვარული, მსოფლიოში ცნობილი რუსი პოეტი, ქალბატონი ბელა ხახმატულინა!..

ამის გაგონებაზე სიცილ-ხარხარი ამტყდარა. ბელას სიტყვების თამაშში ვინ მოუგებდა, მოხდენილად ნათქვამის აზრს უმალ მიმხვდარა, გასცინებია და ღიმილით უთქვამს:

- От грузинов все можно ожидать, вы настоящие хохмы...

იგი მიჩვეული იყო კალამბურებზე აგებულ ამგვარ უწყინარ ხუმრობებს – ანა ახმატოვას სიყვარულის გამო მამის სახელი გადაუკეთეს და რუსეთში ზოგიერთები „ბელა ახმატოვნას" ეძახდნენ.

ხევსურებთან გატარებული ის დღე მხიარულებაში, ერთმანეთის მოფერებასა და გულწრფელად წარმოთქმულ სადღეგრძელოებში რომ ჩაივლიდა, ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს.

ცნობილია, თუ რა ფანატიკურად უყვარდა ბელა ახმადულინას სხვადასხვა ჯიშის დიდ-პატარა ძაღლები. ესეც მის ფაქიზ ბუნებასა და განუზომელ ადამიანურ სიკეთეზე მიგვანიშნებს. ამ უჭკვიანეს და უერთგულეს ცხოველებთან ერთად მრავალი ფოტო აქვს გადაღებული მოსკოვსა თუ რუსეთში. რაგინდ ავი, უცნობი ძაღლი უნდა ყოფილიყო, ბელას არაფერს ვნებდა, არც შეყეფდა. ერთი შემთხვევა, როგორ იხსნა მოსამსახურე ქალი ბელამ დაგლეჯისგან, ბორის მესერერს აღწერილი აქვს ხსენებულ მემუარებში.

ბორის პასტერნაკის კვალდაკვალ, ბელა ახმადულინას ყველაზე საყვარელი მწერალი იყო მარსელ პრუსტი. ასევე დიდ პატივს მიაგებდა ადრეულ კნუტ ჰამსუნს „პანისა" და „მისტერიების" ავტორს. კნუტ ჰამსუნის გმირებსა და ლაპლანდიაზე (ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი...) მრავალი ძლიერი ლექსი დაწერა, რაც იმას მოწმობს, რომ საქართველოზე

▶▶ დასასრული გვ. 12

ეროვნული ბიბლიოთეკა





ქეთევან გოდერძიშვილი

## იორდანეზე. ნათლობისას

*სამი თვის ფეხმძიმე მარიამი ესტუმრა ექვსი თვის ფეხმძიმე ელისაბედს, რომლის მუცელში ჩასახულმა ყრმა იოანემ იგრძნო უფლის მყოფობა და შეიძრა.*

*გავიდა წლები...*

*... მდ. იორდანეზე ნათლობის დროს, იოანეს ქადაგებისას, გაცხადდა წმინდა სამება: მამალმერთი - ხმით, ძე ღვთისა - ხორცშესხმით, სულიწმიდა - მტრედის სახით.*

მუცლად ყოფნისას როს შეიგრძნო
სტუმრობა ჯერთ უშობელი ყრმის
და შეიძრა მყის,
ნათლისმცემელზე დაბადებამდე
გადმოფრქვეულა მადლი ღვთის!

დედის წიაღში ხმა რომ ჩაესმა
მუცლადღებულის ძის,
სასწაულია, აუხსნელი,
ამქვეყნად მოვლენილი ცით.

ხმამ მღაღადებლისამ
წინსწრებით გვაუწყა
მოსვლა უჟამო ძის □
ჩემ შემდეგ დაბადებული
ჩემ შემდეგ მოვაო,
თუმც შემოქმედიაო
სამყაროსი ის!

გვაუწყა თუ არა, აღსრულდა
მისი ნათქვამი მყის □
ეს იყო დღემდე არნახული
სამთავეს ერთობა ცით.
ჩვენთვის გამხელილი
მათი საიდუმლო
მადლია დავითის ძის
და ნება მამისა მის!

ამ ხილვის შემდეგ
როგორ არ ვიწამოთ
და რომ ვიწამოთ,
უნდა ვიწამოთ ის □
ღვთისმშობლის მიწაზე
და უფლის წიაღში
სიცოცხლე სიცოცხლედ რომ ღირს!

R



# ილია ბარამიძეს

ჟამთასვლისთვის დიდი არაფერი, მაგრამ ჩვენთვის უკვე შორეული, გასული საუკუნის სამოციანი წლების მეორე ნახევარი!

მცხეთის ქუჩაზე, მეორე სართულის კიბის თავზე მიკუნჭული სტუდენტური ოთახი, ორი საწოლითა და პატარა მაგიდით.

შენ მირზა გელოვანის ლირიკის მოტრფიალე, მე – ლადო ასათიანის „სიცხიანი“ ლექსებით გატაცებული.

მალე ნიკა აგიაშვილის წიგნმა „ჭაბუკები დარჩნენ მარად“ – დაგვამეგობრა ადრე წასული, ომამდელი ახალგაზრდა პოეტების მთელ თაობასთან, მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, თავისი გამორჩეული, ღონიერი ხნული რომ გაავლეს ქართულ პოეზიაში.

ჩვენც, ყველა დამწყებისთვის დამახასიათებელი შემართებით ვწერდით, ჯერ კიდევ „უმწიფარ“ სტრიქონებს ვუკითხავდით ერთმანეთს, მეგობრებს.

უნივერსიტეტმა, ლიტერატურულმა წრემ დაგვაახლოვა, ოჯახებით დაგვამეგობრა – როგორ შეიძლებოდა, შენიანებს მე არ მოვეკითხე, ჩემებს კიდევ – შენ.

ერთხელ, გორში, ჩემთან სტუმრობისას, სოფელ ხიდისთავში, დღეობაში, რამაზაშვილების ოჯახში მიგვიპატიჟეს.

„ზალაში“, თავიდან ბოლომდე გაშლილ სუფრასთან შეკრებილებს შენი თავი წარვუდგინე, ჩემი თანაკურსელი ილია ბარამიძე გურიიდან არის-მეთქი.

მეგონა, ჩემს ნათქვამს ალტაცებით, შესაფერისი ემოციით გამოეხმაურებოდნენ.

კეთილი, კეთილი, მობრძანდით, დაბრძანდითო, დაწყებული სადღეგრძელო დროებით „დააპაუზა“ დინჯმა თამადამ, იქვე მჯდომმა ბერიკაცმა კი შემწყნარებლური ტონით და თავის დაკანტურებით იხუმრა, რა უშავს მერე, გურულიც კაციაო!

ატყდა სიცილი.

ჯერ შეცბი, მაგრამ მერე შენც გაგეცინა, მე ვამაყობ, თავი მომწონს ჩემი გურულობით და, ნახეთ, რა მაკადრა ამ მოხუცებულმაო.

ახლა „მერიები“ რომ მომრავლდა, მაშინ მთელ საქართველოში ერთი მერია იყო და ისიც შენს სოფელს ჰქვია.

ჰოდა, მერიაში ჩემს გვარს რომ გაიგებდნენ, ღმერთმა აგაშენოს, ჩვენებური ყოფილხარო, გაეხარდებოდათ ხოლმე.

ეჰ, განა შეხსენება უნდა გვინდოდეს, რომ „სხვადასხვა კუთხის“ შვილები ყველანი „ჩვენებურები“ ვართ და ამიტომ მოვალენიც, როგორც ქართლში იტყვიან, ერთმანეთის ჭირსა ვჭამდეთ?!

მაგრამ...

არ ვიცი, ადამიანებსაც, სამშობლოსაც, ახალგაზრდობის გამო, ფერადი სათვალით ვუყურებდით და მაშინ ვერ ვგრძნობდით თუ უკანასკნელი, ამღვრეული ათწლეულების მონაგარია მოძალებული სიძულვილის, გაუტანლობის სუსხი...

1992 წლის იანვარში რეზო ინანიშვილის გარდაცვალებისას ვწერდი, ერთმანეთის ქიშპობაში „გართულმა“ საქართველომ ვერ გაიგო, ვინ დაკარგა-მეთქი...

მას შემდეგ ათწლეულები გავიდა, მაგრამ დრო ჩვენთვის მკურნალად ვერ გამოდგა, მაშინ აგორებული წარღვნა ისევ ანგრევს ჩვენი ერთიანობის ჯებირებს, ისევ ვერ ვიცლით ჩვენი საუკეთესო შვილებისათვის...

მაპატიე, ძმაო, დაბადების დღის მოსალოცად ავილე კალამი და, ხედავ, ოჩანი ხარივით, ჩვენმა საერთო სადარდელმა საით გადამახვევინა!

მახსოვს, უფრო ხალისიანი, მხიარული და იმედიანი ჩვენი დაბადების დღეები. ის დრო რომ იყოს, ახლა, უეჭველად ერთად ვიქნებოდით.

გილოცავ, გეხვევი, იდღეგრძელე!

როგორც მთელი სიცოცხლე პოეზიის და ქვეყნის ერთგული მეციხოვნე, ახლაც სჭირდები სამშობლოს და შენს ალალ სტრიქონს!

**ვანო ჩხიკვაძე**

►► დასაწყისი მე–11 გვ.

თვალმიჩვეულს, ჩრდილოეთის მკაცრი ბუნების სურათების საუცხოოდ დახატვაც ემარჯვებოდა. ეს ნათლად აისახა, როგორც მის პოეზიაში, ასევე დღიურებსა და ჩანაწერებში.

თავისი საუკეთესო მოთხრობა «Много собак и собаки» უძღვნა სამოციანი წლების რუსული პროზის გამორჩეულ ოსტატს, მთელი თაობის ერთ-ერთ ლიდერს, მასავით ძაღლების მოყვარულ უახლოეს მეგობარს ვასილი აქსიონოვს. მოქმედება ხდება საქართველოსგან ვერაგულად მოწყვეტილ ჩვენს ისტორიულად კუთვნილ მიწაზე, ოკუპირებულ აფხაზეთში, კერძოდ, ქალაქ სოხუმში, რომელიც ძველი ბერძნებისგან დარქმეული სახელით (დიოსკურია) იხსენიება. მოთხრობაში ჭარბად არის პრუსტის რომანის რემინისცენციები, რაც მთავარი გმირის, უცნაური ტიპის, გონებასუსტი და მუნჯი შელაპუტოვის ბუნდოვან წარმოსახვებს უკავშირდება. აქ გამოყვანილია ზღვისპირეთისთვის ესოდენ დამახასიათებელი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები (რუსი, ქართველი, აფხაზი, ბერძენი, სომეხი...). ამ ნაწარმოების ცალკეულ პასაჟებს ამჟამად ვერ ჩავუღრმავდები. აღვნიშნავ მხოლოდ ავტორის ნიჭიერების მაჩვენებელ ზოგიერთ მხარეს. ბელა ახმადულინა, როგორც მოსალოდნელი იყო, პროზაშიც პოეტად რჩება. მაგალითად, ძლიერად, ოსტატურად არის დახატული ზღვაზე მზის ჩასვლის სურათი, რამაც შეიძლება შორეულად მეოცე საუკუნის რუსული პროზის მშვენების, გენიალური ანდრეი პლატონოვის წერის სტილი და თავისებურებანი გაგვახსენოს, რაც დასაძრახი სრულებითაც არ არის.

მუდამ განუზომელ სიამოვნებას მგვრიდა ბელა ახმადულინას ესსეების, მოგონებებისა თუ საჯარო გამოსვლების კითხვა. მას ჰქონდა მშვენიერების შემჩნევისა და დაფასების ყველასგან განსხვავებული უნარი და ამასაც ისე მთრთოლარედ გამოხატავდა, ცოტა ვინმე თუ შეედრებოდა. ბორის მესერერს (იგი მაია პლისეცკაიას დეიდაშვილია) მოაქვს მცირე, ლექსდართული ნაწყვეტი იმის საჩვენებლად, როგორია ბელა ახმადულინას თვალით დანახული, რეპრესიების გამო ბავშვობიდან ობოლი, კეთილი ნათესავების შემწეობით გაზრდილი შეუდარებელი მოცეკვავე. იგი ოცნებობდა, ბელას მასზე რაიმე დაეწერა და ოცნება ერთი ათად აუხდა – პოეტმა გამაოგნებელი ძალით გადმოსცა მისი არაამქვეყნიური მოძრაობები, ჰაერში სიზმარეული ფრენა, მიწიდან მოწყვეტისა და ცაში აჭრის სასწაული.

არავის იმდენი და ისეთი ღირსეული ლექსი არ მიუძღვნია მეგობრების, ახლობლების, თანამედროვეებისათვის, რამდენიც ბელა ახმადულინამ და, ამავე დროს, ერთ შემთხვევასაც ვერავინ დაასახელებს, ადრესატი უნიჭო ანდა სულგაყიდული პიროვნება ყოფილიყოს. ამათგან ყველაზე მეტი სიყვარული და პატივი ორ პოეტს, ორ დიდ ხელოვანს, ბულატ ოკუჯავასა და ვლადიმირ ვისოცკის მიაგო.

ჩემდა თავად, არც იმის თქმა გამიჭირდება, რომ თავისი თაობის ნიჭიერ პოეტთა შორის არავის აქვს იმდენი ძლიერი ლექსი, რამდენიც ბელა ახმადულინას პოეტურ კრებულებშია. ამ შეხედულების უფრო გაფართოებაც შეიძლება – მეოცე საუკუნის რუს პოეტებში იშვიათია ისეთი, ვისაც საუკეთესო ლექსების ამგვარი სიუხვე და მრავალფეროვნება შეექმნას. მას დაჰყვა უიშვიათესი უნარი სიტყვის დამორჩილებისა და მოთვინიერებისა. ყოველგვარი დაძაბვის გარეშე შეეძლო, ყოვლად არაპოეტური, თუნდაც სხვა ენიდან შემოტანილი სიტყვა ისე ჩაესვა თავისი ლექსის სტრიქონში, „უცხო სხეულად“ არ გამოჩენილიყო.

ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი წიგნია ლექსების შავყდიანი ტომი – „რჩეული“, რომელიც ორმოცი წლის ბელა ახმადულინამ 1978 წელს მოსკოვში გამოსცა. მასში იმდენი ძლიერი ლექსია, ჩამოთვლა რომ დავიწყო, თითქმის მთელი სარჩევის გადაწერა მომიწევს. ამ წიგნის მოკლე წინათქმის ავტორი ასე მოკრძალებულად ამთავრებს: «Я жила на белом свете и старалась быть лучше».

მის ცდას ამაოდ არ ჩაუვლია – წლიდან წლამდე იგი ხვეწდა, სრულყოფდა თავის ოსტატობას. განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ბოლო წლების საუკეთესო ლექსებისა მის უსაყვარლეს ტარუსაში შეიქმნა. ტარუსა ბელა ახმადულინასათვის თავისებური ბოლდინო გახდა. საბედნიეროდ და ღვთის შეწევნით, მისი იქ შემოქმედებითი წვა, ტრაგიკული ბედის პუშკინისგან განსხვავებით, უფრო ხანგრძლივი გამოდგა.

ჯერჯერობით ბელა ახმადულინას შემოქმედება ყველაზე სრულად და გაშლილად წარმოდგენილია მის მესამოცე წლისთავზე (1997), მოსკოვშივე გამოცემულ სამტომეულში, რომელიც ბორის მესერერმა მ. გრუშნიკოვასთან ერთად შეადგინა. ლექსები, პოემები და სხვა მასალები განლაგებულია ქრონოლოგიურად, რაც ყოველმხრივ გამართლებულია“.

განუზომელია თავისი თავისადმი ბელა ახმადულინას მომთხოვნელობა, პასუხისმგებლობის უსალვრო გრძნობა. იგი ღიად აცხადებს, რომ მის წინ გაშლილი ორი სითეთრე აყენებს ნაზ წამებას: სუფთა ფურცელი და ახალდათოვლილი მოსკოვი. არცერთ პოეტს არ გამოუმჟღავნებია მკითხველისადმი იმდენი სითბო და სიყვარული, რამდენიც ბელა ახმადულინამ გამოიჩინა. ისეთი შეგრძნება აქვს, რომ იგი წერს უამრავი უცნობისათვის და ამ ხალხს მიმართავს, როგორც ერთადერთ და ახლობელ ადამიანს.

საქართველოზე დაწერილ ყველა ლექსს არ შევხებივარ, თუმცა გული მეთანაღრება, არ ვახსენო ერთი მშვენიერი, ძარღვის შემატოკებელი მიძღვნა, რომლის პირველსავე სტროფში პოეტი მისებური სიწრფელით ეფერება ჩვენს სამშობლოს:

Помню – как вижу, зрачки затемню
веками, вижу: о как загорело
все, что растет, и, как песрь, затяну
имя земли и любви: Сакартвело.

შემდეგ ქართული მეტყველება თერგის სიშმაგესთან არის შედარებული და გვერდიგვერდ არიან მოხსენიებული „შოთა და ვაჟა“. ეჩვენება, რომ ტყეები და მდინარეები ქართულად ლაპარაკობენ. მერე კი თითქმის თვითონაც ქართულად შესთხოვს უფალს, დაეხმაროს, ისეთი რამ ათქმევინოს, არავის ბაგეებს რომ არ დასცდენია. ეს სიტყვები ქართული ენის საგალობლად გაისმის:

Гмерто, ужель никогда не смогу
высказать то – несказанное что-то?

მის კალამს ბევრი უძლიერესი, ყველასაგან განსხვავებული ლექსი გადაუტანია თოვლივით, მისი სულივით ქათქათა ქაღალდზე და, ამ მხრივ, საყვედური ნამდვილად არ ეთქმოდა...

კარგად ვაცნობიერებ – ჩემი დამოკიდებულება, შეძლებისდაგვარად, კი გამოვხატე ბელა ახმადულინასადმი, მაგრამ მეათედიც ვერ გადმოვეცი იმ სილამაზისა და მომხიბლაობისა, რაც მისი უჭკნობი, განუმეორებელი პოეზიიდან მოედინება. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია – მე მხოლოდ ერთი კუთხით შევხედე საგანს, თემატურად შეზღუდული ვიყავი და მცირედით ეს თუ გაამართლებს ჩემს მოკრძალებულ ცდას, ზოგი რამ მეთქვა თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს პოეტზე. რუსულ პოეზიას შეუძლია იამაყოს, რომ მას ბელა ახმადულინასთანა შემოქმედი ჰყავდა.

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მეტრეველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დემეტრაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბელა გველესიანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **ვოლდემარ ვანსკი**
ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsaqartvelo@yahoo.com

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი, GE43BG0000000161665862

gamodisparaskeobiT

დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57

ISSN 1987-9806